

სარჩევი

| | |
|---|----|
| ადამიანის განვითარების ობიექტური შესწავლა და მეთოდები..... | 4 |
| ბიჰევიორიზმი | 6 |
| სოციალური დასწავლის თეორია | 7 |
| თანდაყოლილობა და გარემო | 9 |
| <i>გენური და ქრომოსომული ანომალიები</i> | 10 |
| <i>სქესთან დაკავშირებული ანომალიები.....</i> | 10 |
| <i>აუტოსომური ანომალიები.....</i> | 11 |
| პრენატალური განვითარება | 12 |
| გარემოს ზეგავლენა განვითარებაზე | 12 |
| <i>ტერატოგენები</i> | 13 |
| ფიზიკური განვითარება ჩვილობაში | 14 |
| ბავშვის რეფლექსები..... | 15 |
| ახალშობილის ქცევის შეფასების ბრაზელტონის სკალა | 16 |
| დასწავლა | 16 |
| ფიზიკური და მოტორული განვითარება..... | 17 |
| პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორია..... | 17 |
| <i>პიაჟეს თეორია - ინტელექტის განვითარების ოპერაციული თეორია.....</i> | 17 |
| სამეტყველო განვითარება ჩვილობაში..... | 19 |
| ენობრივი განვითარების დასაწყისი..... | 20 |
| ფსიქო-სოციალური განვითარება ჩვილობაში..... | 20 |
| ადრეული ბავშვობა | 22 |
| <i>კოგნიტური განვითარება ადრეულ ბავშვობაში</i> | 22 |
| <i>ფსიქო-სოციალური განვითარება ადრეულ ბავშვობაში</i> | 24 |
| <i>თამაშის როლი სოციალური ჩვევების ჩამოყალიბებაში</i> | 25 |
| <i>აღზრდის სტილები.....</i> | 25 |
| კოგნიტური განვითარება შუა ბავშვობაში | 25 |
| <i>სამეტყველო განვითარება შუა ბავშვობაში</i> | 26 |
| <i>სწავლის უუნარობა.....</i> | 26 |
| <i>ფსიქო-სოციალური განვითარება შუა ბავშვობაში.....</i> | 26 |
| ინტელექტი..... | 27 |

| | |
|--|----|
| მოზარდობის პერიოდი..... | 28 |
| <i>მოზარდობის ასაკში კოგნიტური განვითარება</i> | 29 |
| <i>მოზარდი ოჯახში</i> | 30 |
| <i>როგორი მშობლები უნდათ მოზარდებს?</i> | 30 |
| მე კონცეფცია, თვითშეფასება, იდენტობა | 31 |
| ადრეული მოზრდილობა | 33 |
| <i>კოგნიტური განვითარება ადრეულ მოზრდილობაში</i> | 34 |
| „Grand Study“ | 35 |
| მამაკაცის ცხოვრების პერიოდიზაცია ლევინსონის მიხედვით | 36 |
| ფსიქო-სოციალური განვითარება ადრეულ მოზრდილობაში | 37 |
| პარტნიორის შერჩევა | 37 |
| მითები და რეალობა | 38 |
| ოჯახური ციკლი..... | 38 |
| ადამიანი როგორც მუშაკი | 39 |
| <i>პროფესიის არჩევის განმსაზღვრელი ფაქტორები</i> | 39 |
| შუა ხანი..... | 39 |
| <i>ფიზიკური განვითარება შუა ხანში</i> | 40 |
| <i>მორფოლოგიური და ფუნქციონალური ცვლილებები</i> | 40 |
| <i>ჯანმრთელობა და ავადმყოფობები</i> | 41 |
| <i>კოგნიტური განვითარება შუა ხანში</i> | 41 |
| <i>ფსიქო-სოციალური განვითარება შუა ხანში</i> | 42 |
| <i>ჰეივიგჰერსტის განვითარების მოდელი</i> | 42 |
| <i>პეკის შეხედულება</i> | 43 |
| <i>ერიქსონის შეხედულება</i> | 44 |
| <i>ფარელი და როზენბერგი</i> | 44 |
| <i>სამსახურის დაკარგვა</i> | 44 |
| <i>„გადაწვა სამსახურში“</i> | 45 |
| გვიანი მოზრდილობა | 45 |
| <i>ეიჯიზმი და სტერეოტიპები</i> | 45 |
| <i>დაბერების ფიზიკური ასპექტები</i> | 46 |
| <i>დაბერების თეორიები</i> | 46 |
| <i>შემეცნებითი პროცესების მიმდინარეობის სისწრაფე</i> | 47 |

| | |
|---|----|
| მეხსიერება..... | 47 |
| სიბრძნე..... | 48 |
| დემენცია..... | 49 |
| ფსიქო-სოციალური განვითარება გვიან მოზრდილობაში..... | 50 |
| სტატუსის შეცვლა | 50 |
| სიცოცხლით კმაყოფილება და მე-კონცეფცია | 50 |
| მე-კონცეფციაზე გავლენას ახდენს:..... | 50 |
| დაცვის მექანიზმები | 51 |
| პენსიაზე გასვლა..... | 51 |
| პენსიაზე გასასვლელად მომზადება გულისხმობს:..... | 52 |
| სიკვდილი | 52 |
| თვითმკვლელობა..... | 52 |
| სიკვდილი..... | 52 |
| ევთანაზია | 52 |
| ჰოსპისი | 53 |
| გლოჯა..... | 53 |
| გამოყენებული ლიტერატურა: | 54 |

ადამიანის განვითარების ობიექტური შესწავლა და მეთოდები

განვითარების ფსიქოლოგია შეისწავლის იმ ცვლილებებს, რომლებიც აღმოცენდება სხეულის აღნაგობაში, აზროვნებაში და ქცევაში ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესებისა და გარემოს ზეგავლენის შედეგად. განვითარება მოიცავს პეიოდს ადამიანის ჩასახვიდან მის გარდაცვალებამდე. განვითარების ფსიქოლოგია მოიცავს:

1. ფიზიკურ განვითარებას - სხეულში მიმდინარე ცვლილებები;
2. კოგნიტურ განვითარებას - აზროვნება, მეტყველება, წარმოსახვა, მეხსიერება და ა.შ;
3. ფსიქო-სოციალურ განვითარებას - მოიცავს ცვლილებებს ქცევაში, პიროვნულ თავისებურებებსა და სოციალურ ჩვევებს.



გარემოს სინამდვილის შემეცნება ხდება კოგნიციით. გარემო განვითარებაზე ზეგავლენას ახდერს ორი პროცესით:

1. დასწავლა;
2. სოციალიზაცია;

დასწავლა - როდესაც ხდება რაიმეს დასწავლა სოციალური გარემოდან. დასწავლა შეიძლება მოხდეს ერთხელობრივი მოვლენის შედეგად (ძაღლის კბენა და მისგან გამოწვეული ზაღლის შიში) და მრავალჯერადი განმეორების შედეგად;

სოციალიზაცია - მოიცავს იმ სოციალურ ნორმებს, რომელიც მიღებულია ამა თუ იმ სოციალურ გარემოში და რომლის ღირებულებების მიღება ხდება პიროვნების მიერ. ეს პროცესი მუდმივად მიმდინარეობს;

კრიტიკული პერიოდი - დროის ის პერიოდი, როდესაც გარკვეულმა ფაქტორმა შეიძლება მოგვცეს ნეგატიური ეფექტი (2 თვის ორსულ ქალს თუ დაემართება წითელა, მაშინ ნაყოფი დაილუპება);

ოპტიმალური პერიოდი - დროის ის მონაკვეთი, როდესაც სოციალური გარემოს ზეგავლენის შედეგად მივიღებთ ოპტიმალურ შედეგს (მაგალითად ბავშვი ლაპარაკს სწავლობს 2 წლის ასაკში, ანუ ლაპარაკის დასაწყებად 2 წლის ასაკი არის ოპტიმალური პერიოდი).

ბალტერის მიხედვით განვითარებაზე გავლენას ახდენს ფაქტორების სამი ტიპი:

1. ნორმატიული-ასაკობრივი ფაქტორები - ეს არის ის ნორმა, რომელიც ხდება კონკრეტულ ასაკში, ანუ რაც ნორმაშია მოსალოდნელი;
2. ნორმატიული-ისტორიული ფაქტორები - ის რაც კონკრეტული თაობისათვის არის დამახასიათებელი;
3. არა ნორმატიული ფაქტორები - ის რაც მხოლოდ მე შემიძლია.

განვითარების ობიექტური შესწავლის 7 პრინციპი არსებობს:

1. შეკითხვების დასმის ხელოვნება - რაც გულისხმობს კითხვის ინფორმაციულად დასმას. პიაჟე იყო ცნობილი თავისი კითხვების დასმის ხელოვნებით. იგი იყენებდა კლინიკურ მეთოდს. ადამიანი რომ შევისწავლოთ, თუ როგორ მიდის განვითარების ციკლი, აუცილებელია ბავშვობის პერიოდის შესწავლა;
2. მეცნიერული მეთოდის გამოყენება - სადაც ხდება პრობლემის დასმა, ჰიპოთეზის შემუშავება და ჰიპოთეზის შემოწმება;
3. კვლევის პირობების შერჩევა - რაც გულისხმობს ექსპერიმენტს ან დაკვირვებას. დაკვირვების მინუსი არის გარემო ფაქტორების ზემოქმედება, ხოლო ექსპერიმენტის მინუსი - ხელოვნური პირობები;
4. ექსპერიმენტული გეგმის შერჩევა - რაც თავის მხრივ გულისხმობს სამ მეთოდს:
 - 4.1. ლონგვიტიდური მეთოდი- დაკვირვება დიდი ხნის მანძილზე ხორციელდება და იძლევა კარგ შედეგს. მისი მინუსი არის დიდი დროის საჭიროება, დიდი ფინანსები, დამოკიდებულია გულწრფელობაზე და ა.შ;
 - 4.2. ჩაჭრების მეთოდი - დაკვირვება მიმდინარეობს რაღაც პერიოდში;
 - 4.3. კომბინირებული მეთოდი - მოიცავს ზემოთ მოყვანილ ორივე მეთოდს;
5. შესატყვისი მეთოდის გამოყენება - ეს მეთოდი მოიცავს ორ პირობას:
 - 5.1. ვალიდობა - მეთოდი უნდა სწავლობდეს ჩვენ მიზანს;
 - 5.2. სანდობა - კვლევის სხვადასხვა სიტუაციაში ჩატარებით ერთსა და იმავე შედეგს უნდა ვიღებდეთ;
6. მიღებული შედეგების ინტერპრეტირება - სადაც ხდება შედეგების ანალიზი;
7. დასკვნების ფორმულირება - მიღებული შედეგები რა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

კვლევის მეთოდების ეთიკური ნორმებია: არ ავნო, უნდა იყოს ნებაყოფლობითი, კონფიდენციალური, უნდა მიეწოდოს რესპოდენტს შედეგები.

ბიჰევიორიზმი

თეორიები სამ დიდ ჯგუფად იყოფა:

1. რა განსაზღვრავს განვითარებას? მემკვიდრეობითობა თუ გარემო?
2. როგორია განვითარება? თანმიმდევრული თუ ნახტომისებური?
3. ადამიანი არის მექანიზმი თუ ორგანიზმი?



ბიჰევიორიზმი ამ კითხვებს პასუხობს შემდეგნაირად:

1. გარემო;
2. თანმიმდევრული;
3. მექანიზმი.

„Behaviorism“ ნიშნავს „ქცევას“. ამ თეორიას ბიძგი მისცა **პავლოვის** თეორიებმა და მისმა ორმა დაკვირვებამ პირობითი და უპირობო რეფლექსის შესახებ.

პირობითი რეფლექსი - ზარის ხმა (გამღიზიანებელი) ასოციაციით უკავშირდებოდა საკვებს და ხდებოდა ნერწყვის გამოყოფა.

ბიჰევიორიზმის ტრადიციული ფსიქოლოგიის საპირისპიროდ შემოვიდა. მათ თქვეს, რომ ვერ შეისწავლიდნენ ფსიქიკურ პროცესებს. ისინი სწავლობდნენ ადამიანის ქცევას, რადგანაც მასზე დაკვირვება შესაძლებელი იყო. $S \rightarrow R$, სადაც S არის გამღიზიანებელი, ხოლო R - რეაქცია. ისინი სწავლობდნენ, თუ რა გამღიზიანებელზე რა რეაქცია იქნებოდა მოსალოდნელი. მათ აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ ერთმა და იმავე სტიმულმა შეიძლება სხვადასხვა რეაქცია მოგვცეს.

ორგანიზმი ნიშნავს, რომ პიროვნება აქტივობს და გავლენას ახდენს გარემოზე, ხოლო მექანიზმი ნიშნავს, რომ ის მუდმივად გარემოს დარტყმების ქვეშაა.

თორნდაიკმა შემოიტანა **ეფექტის კანონი** - რაც ნიშნავს, რომ დასწავლილი ქცევა შესაძლებელია იქნეს გადატანილია.

სკინერმა შემოიტანა **ოპერანტული განპირობებულობის** ცნება - რომლის თანახმადაც ჯერ დაისწავლება რაღაც ქცევა და შემდეგ ხდება მისი განმტკიცება. ქცევას შეიძლება წინ გამღიზიანებელი უსწრებდეს.

განმამტკიცებელი არის ორგვარი:

1. პირველადი - რომლებიც დაკავშირებულია ვიტალურ მოთხოვნილებებთან (საკვები, სექსი..);
2. მეორადი - მისი საშუალებით ვიკმაყოფილებთ პირველად მოთხოვნილებებს (ფულით შეგვიძლია ვიყიდოთ საკვები).

დადებითი განმამტკიცებელი - შექება, მოფერება, ანუ ვაძლევთ პოზიტიურ განმამტკიცებელს;

ნეგატიური განმამტკიცებელი - როდესაც ვარიდებთ უსიამოვნო სიტუაციას (თუ საშინაო დავალებას დაწერ, მაშინ ჭურჭელს არ გარეცხავ).

ჩამოყალიბებული ქცევის ჩაქრობისთვის ბიჰევიორისტები გვთავაზობენ დასჯას, მითითებას. დასჯის გამოყენება მისაღები არაა, რადგან ბავშვი გახდება აგრესიული. მითითება ბევრად უკეთესია.

არსებობს ადამიანის **შინაგანი** (ვსწავლობ იმიტომ რომ მსიამოვნებს) და **გარეგანი** (თუ 5-იანს მივიღებ, რამეს მიყიდიან) მოტივები.

როდესაც აღზრდაში ვცდილობთ განმამტკიცებლის გამოყენებას, ამას ეწოდება **დესენსიბილიზაციის მეთოდი**. თუ ბავშვს სკოლაში წასვლა არ უნდა, უნდა მივაჩვიოთ ნელ-ნელა: ჯერ სახლის კარებამდე მივიყვანთ, მერე ეზომდე და ა.შ.

თანდათანობითი დახმარების მეთოდი - როდესაც ბავშვს ჩავაცმევთ შარვალს და შემდეგ უკვე თავად უნდა აიწიოს/შეიკრას.

სოციალური დასწავლის თეორია

ეს თეორია არის ბიჰევიორიზმის განშტოება. **ალბერტ ბანდურამ** აქცენტი გააკეთა აზროვნებაზე. მან შემოგვთავაზა რეციპროკული დეტერმინიზმის სამმაგი მოდელი, რომლის თანახმადაც ადამიანის ქცევას განაპირობებს: გარემო, თავად ქცევა და პიროვნება. მისი აზრით დასწავლა შეიძლება მოხდეს განმტკიცების გარეშეც, უბრალოდ ყურებით.

ფროიდი სულიერი პრობლემების მქონე ადამიანებს სწავლობდა. მისი მოსაზრებით ყველა პრობლემის სათავე ბავშვობაა და რომ პიროვნების ძირითადი ჩონჩხი 5 წლის ასაკში ვითარდება. მისი თეორია იწოდება ფსიქო-სექსუალურ ანუ დინამიკურ თეორიად. განვითარება მოიცავს სექსუალურ მოთხოვნილებებსა და აგრესიას. მან გამოყო პიროვნების სტრუქტურის სამკომპონენტოანი მოდელი:


იდი - ფროიდმა აღიარა არა-ცნობიერი ფსიქიკის არსებობა და მისი გავლენა ჩვენ ქცევაზე. იდი არის ჩვენი მოთხოვნილებები, რომელიც მოქმედებს სიამოვნების პრინციპით;

ეგო - ანუ რეალური მე. ბავშვი აღმოაჩენს რა, რომ მისი ყველა სურვილი არ კმაყოფილდება სოციალურ გარემოში და რომ მასაც მოუწევს დათმობებზე წასვლა.

სუპერ ეგო - სინდისი, მორალი, ზნეობა.

ფროიდმა განვითარებაში გამოყო 5 პერიოდი:

1. ორალური განვითარების პერიოდი - გრძელდება დაბადებიდან 18 თვემდე. ბავშვი ამ სტადიაზე სიამოვნებას ღებულობს პირიდან;
2. ანალური განვითარების პერიოდი - 18 თვიდან 3 წლამდე გრძელდება. ბავშვი სიამოვნებას იღებს ანუსიდან. ამ სტადიაზე თავს იჩენს ქოთანზე მიჩვევის პრობლემა.
3. ფალოტური - გრძელდება 3 წლიდან 5 წლამდე. ბავშვი სიამოვნებას იღებს სასქესო ორგანოდან.
4. ლატენტური (ჩუმი) - გრძელდება 5-დან 12 წლამდე. ამ პერიოდში სიმშვიდეს აქვს ადგილი, ხდება ცოდნის დაგროვება და ადგილი აქვს სოციალურ პროცესებში ჩართულობას.
5. გენიტალური - ეს არის 15-16 წლის ანუ სქესობრივი მომწიფების პერიოდი.



ოიდიპოსის კომპლექსი - როდესაც ბიჭი ფალოტური განვითარების პერიოდშია, უჩნდება ძლიერი სექსუალური ლტოლვა დედის მიმართ, რაც უნდა დაიძლიოს იდენტიფიკაციის საფუძველზე.

ელექტრას კომპლექსი - როდესაც გოგო ცოლად მიყვება საკუთარი მამის მსგავს მამაკაცს.

ერიქსონი დაუპირისპირდა ფროიდს, რადგან აქცენს მხოლოდ ბავშვობაზე აკეთებდა. იგი ფროიდის მიმდევარი იყო და ჩამოაყალიბა ფსიქო-სოციალური თეორია, რომლის თანახმადაც განვითარება მთელი ცხოვრება გრძელდება და ადამიანს გადასაჭრელი აქვს 8 კონფლიქტი და სწორედ მათი გადაწყვეტით ყალიბდება განვითარება:

1. ნდობა/უნდობლობა (0-1 წელი) - ბავშვი უნდა ენდობოდეს სოციალურ გარემოს. თუ მშობლები ცუდად ექცევიან, მაშინ ეს გამოიწვევს უნდობლობას;
2. ავტონომია/სირცხვილი და ეჭვი (2-3 წელი) - ეს არის პერიოდი, როდესაც ბავშვი სწავლობს სიარულს, ლაპარაკს. თუ რაიმეს უკრზალავენ, მაშინ ჩნდება ეჭვი, რომ რაღაც კარგად ვერ გამოსდის;
3. ინიციატივა/დანაშაულის გრძნობა (4-5 წელი) - როდესაც თავად უნდა ჭამა, თასმის შეკვრა. თუ მშობელი ეტყვის, რომ მე გაჭმევ, ვერ აკეთებ, მაშინ გაუჩნდება დანაშაულის გრძნობა;
4. შრომის მოყვარეობა/არასრულფასოვნების გრძნობა (6-11 წელი) - ეს სწავლის პერიოდია. თუ სხვებს ჩამორჩება კითხვაში, წერაში, მაშინ გაუჩნდება არასრულფასოვნების გრძნობა;

5. იდენტობა/როლების არევა (12-18 წელი) - უჩნდება კითხვები: ვინ ვარ, რატომ ვცხოვრობ... ამ პერიოდში უნდა ჩამოყალიბდეს იდენტობა, ანუ მსოფლმხედველობა;
6. სიახლოვე/იზოლაცია (20-40 წელი) - ადამიანმა უნდა გაიკეთოს კარიერა და მოაგვაროს ინტიმური ურთიერთობები. წინააღდეგ შემთხვევაში მივიღებთ იზოლაციას;
7. გენერატიულობა/სტაგნაცია (40-60/65 წელი) - დაგროვილი ცოდნის გამოყენების პერიოდი, ვქმნით რაღაცეებს. წინააღდეგ შემთხვევაში ადამიანს ემართება სტაგნაცია (გახევება);
8. ეგოს მთლიანობა/გულგატეხილობა (>65 წელი) - ხდება წარსულ ცხოვრებაზე თვალის გადავლება. თუ კარგად ქონდა გაკეთებული ყველაფერი ადამიანს, მაშინ კმაყოფილი იქნება. წინააღდეგ შემთხვევაში მივიღებთ გულგატეხილობას.

თუ არ მოხდება პირველი კონფლიქტის დადებითი გადაჭრა, მაშინ უფრო გაგვიჭირდება შემდგომი კონფლიქტების დადებითად გადაწყვეტა.

თანდაყოლილობა და გარემო

ტესტოსტერონი - ეს არის მამაკაცის მთავარი სასქესო ჰორმონი. მისი დამსახურებაა, ფაქტობრივად, ყველაფერი, რაც ძლიერ სქესს სუსტისგან განასხვავებს. ყმაწვილკაცობისას სათესლეებისა თუ სასქესო ასოს გადიდებას, სახესა და ბოქვენზე თმის ამოსვლას, ხმის დაბოხებას, სიმაღლეში ზრდას, კუნთოვანი მასისა და ძალის მატებას სწორედ იგი განაპირობებს, გარდა ამისა, მამაკაცს მთელი ზრდასრული ცხოვრების მანძილზე უნარჩუნებს სქესობრივ ლტოლვას, სპერმატოზოიდების წარმოქმნას, თმისა და მამაკაცურ ტიპს, კუნთოვან და ძვლოვან მასას.


ზიგოტა - განაყოფიერებული კვერცხუჯრედი, საიდანაც იწყება ადამიანის სიცოცხლე. იგი შეიცავს 23 წყვილ ქრომოსომას. ქრომოსომა წარმოადგენს ცალკეული დნმ-ის მაკრომოლეკულას, რომელიც სტრუქტურულადაა ორგანიზებული და მოთავსებულია უჯრედის ბირთვში. დნმ-ის ბიოლოგიური ფუნქცია უჯრედის ცილების აგებულების შესახებ ინფორმაციის შენახვასა და შთამომავლობით გადაცემაში მდგომარეობს.

მუტაცია - დროდადრო დნმ-ში შეიძლება ადგილი ქონდეს რაოდენობრივ და/ან სტრუქტურული ცვლილებები. მუტაციის შედეგად ხდება გენური ინფორმაციის ცვლილება. ქრომოსომების პირველ 22 წყვილს უწოდებენ **აუტოსომებს**, სადაც მოცემულია ინფორმაცია ფსიქიკური და ფიზიკური თავისებურებების შესახებ. ბოლო წყვილს უწოდებენ **სქესთან დაკავშირებულ ქრომოსომას**.

XX ქრომოსომა არის მდედრობითი სქესი, ხოლო XY - მამრობითი. ქალი გასცემს X-ს, მამაკაცი - Y-ს. გამომდინარე აქედან, ბავშვის სქესი დამოკიდებულია მამაკაცზე!

გენოტიპი - ერთი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის გენების ერთობლიობა;

ფენოტიპი - კონკრეტულ ადამიანში გამოვლენილი გენები (ცისფერი თვალები).



გენური და ქრომოსომული ანომალიები

ანომალიის ერთ-ერთი გამომწვევია სამშობიარო ტრავმა. ასევე ანომალია შეიძლება გამოიწვიოს:

1. ზედმეტმა ან ნაკლებმა ქრომოსომამ;
2. გენურმა ანომალიამ - ერთი გენის დეფექტი;
3. მცირედმა შეცდომებმა გენურ ინფორმაციაში (უშაქრო დიაბეტი).

სქესთან დაკავშირებული ანომალიები

1. კლაიმ-ფელტერის სინდრომი - დამახასიათებელია კაცისთვის და შანსია 1000-დან 1. ქრომოსომას აქვს შემდეგი სახე XXY, სადაც ზედმეტია ერთი X ქრომოსომა. შვილი არ უჩნდება და გამოხატულია ქალის ნიშნები;
2. ზე-მამაკაცის სინდრომი - ქრომოსომას აქვს სახე XYY, სადაც ზედმეტია ერთი Y ქრომოსომა. დამახასიათებელია: აგრესიულობა, უხეშობა, დიდი თავი, გონებრივი ჩამორჩენილობა, მეჩხერი კბილები;
3. ტერნერის სინდრომი - დამახასიათებელია ქალისთვის და შანსია 10 000-დან ერთი. ქრომოსომას აქვს სახე XO, ანუ ქრომოსომა ან არ არის ან არ ფუნქციონირებს. იწვევს უშვილობას;
4. X ქრომოსომის შესუსტების სინდრომი - ორივე სქესისთვის არის დამახასიათებელი. იწვევს დიდ თავს, ყურებს, დიდ წონას. კაცებში შანსია 1200-დან ერთი, ხოლო ქალებში - 2500-დან ერთი;
5. გენური ანომალია - ვლინდება მხოლოდ მამინ, თუ დედასაც აქვს და მამასაც. თუ მხოლოდ ერთ-ერთს აქვს, მამინ გადაცემა არ ხდება.
 - 5.1. ჰემოფილია - სისხლის შედედების უუნარობა;
 - 5.2. ფერთა სიბრმავე - ფერების გარჩევის უუნარობა.

ავტოსომური ანომალიები

აღნიშნული ანომალიები დამახასიათებელია ორივე სქესისთვის:

1. დაუნის სინდრომი - წარმოადგენს ქრომოსმულ ანომალიას, რაც გამოიხატება 21-ე ქრომოსომის ზედმეტობაში. ფენოტიპურად ვლინდება შემდეგი ნიშნები: მრგვალი სახე, სქელი ენა, წვრილი თვალები, კოტიტა ხელები, ტანმორჩილობა, გინება-სუსტობა, მხედველობასთან და სმენასთან პრობლემები. სტატისტიკურად ამ სინდრომის გამომწვევია ხანშიშესულ მამაკაცებს და ქალებს (35 წელი და ზემოთ), როდესაც უჩნდებათ შვილები. უცხოეთში არსებობს ამ სინდრომით დაავადებულბთა რეაბილიტაციის პროგრამა;
2. გენური ანომალია - რასაც უწოდებენ ნამგლისებურ ფორმიან ანემიას. სახელწოდება უკავშირდება ერთროციტების ნამგლის ფორმას. გადაეცემა რეცესიული გენით. ხშირად ვლინდება ზანგებში. ცნობილია, რომ ერთროციტების საშუალებით ხდება ჟანგბადის გადაცემა. ეს ანომალია კი ამ პროცესს აფერხებს და იწვევს ძლიერ ტკივილებს, ინფექციების მიმართ ამტანიანობის შესუსტებას, იმუნიტეტის დაქვეითებას. სიცოცხლის გახანგრძლივება ხდება სისხლის გადასხმით. დიდხანს ვერ ცოცხლობენ, არიან სუსტები და ფერმკრთალები. უფრო მეტად დამახასიათებელია აშშ-ში მცხოვრები აფრიკელებისთვის. ზანგებში იმიტომ ვლინდება მეტად, რომ ჯგუფდებიან მხოლოდ თავიანთი რასის ადამიანებში;
3. კისტო-ფიბროზი - დამახასიათებელია კავკასიელებისთვის. გადაეცემა რეცესიული გენით. იწვევს ლორწოს დაგროვებას გულში, ფილტვებში, კუჭქვეშა ჯირკვალში. სიცოცხლის გახანგრძლივება ხდება ლორწოს ამოღებით. მამაკაცებს რეპროდუქციის უნარი არ აქვთ, ქალებში კი გარკვეული შანსი არის;
4. ტეა-საქსის სინდრომი - დამახასიათებელია ებრაელებისთვის. განკურნებას არ ექვემდებარება. თავს იცენს 6 თვის ასაკიდან. თუ მანამდე ბავშვი მხიარულია და ჯანმრთელი, 6 თვიდან ხდება აპათიური, უხასიათო, ემართება კრუნჩხვები, თვალებით კონტაქტს ვერ ამყარებს, უვითარდება ბაყაყის ფორმის კიდურები, ეხრდებათ თავი. სიცოცხლე გრძელდება 2-4 წელი. გადაცემა ხდება რეცესიული გენით. გამომწვევია ვიწრო წრეში ქორწინება;
5. ფენილ-კელტონური - ფერმენტ ფენილალანილის ჭარბი რაოდენობით არსებობა ორგანიზმში. ამ ფერმენტს შეიცავს ცილოვანი საკვები. ვერ ხდება ცილოვანი საკვების გადამუშავება, რაც იწვევს ტვინის უჯრედების კვდომას. დამახასიათებელი ნიშნებია: გაღიზიანებადობა, აღზუნება, ჰიპერაქტივობა, უკონტროლო მოძრაობები, გონებრივი ცამორჩენილობა. გადაცემა ხდება დომინანტური გენით. მკურნალობა ხდება დიეტით, ანუ ცილოვანი საკვების შეზღუდვით.


6. ჰენტინქტონის ქორეა - გადაეცემა დომინანტური გენით. თავს იჩენს 35 წლის ასაკიდან. ამ ასაკამდე კი ადამიანი ჯანმრთელია. აღმოჩენიდან 10-15 წელი ცოცხლობენ. ხდება პიროვნების დეგრადაცია, კუნთური სისუსტე, უჭირს მოძრაობა, ჭამა და ბოლოს ჩერდება გული.

ყველა ანომალიის დიაგნოსტიკა შესაძლებელია. ანომალიით დაავადებული ჩანასახი 75%-იანი ალბათობით იშლება.

პრენატალური განვითარება

პრენატალური განვითარება გრძელდება 40 ± 2 კვირა. მოიცავს 3 პერიოდს:

1. ჰერმინალური პერიოდი - ზიგოტა იწყებს გაყოფას, წარმოიქმნება ლასტოცისტა და იწყება ორსულობა. გრძელდება 2 კვირა;
2. ემბრიონალური პერიოდი - გრძელდება 2 კვირიდან 3 თვემდე. ხდება ყველა ორგანოს ჩამოყალიბება. 1 თვის ემბრიონის გული იწყებს ფეთქვას;
3. ფეტალური პერიოდი - გრძელდება 3 თვიდან და ზემოთ. ამ პერიოდში ხდება ორგანოების შემდგომი განვითარება და დახვეწა.



მონოზიგოტური ტყუპები - ერთი კვერცხუჯრედის გაყოფის შედეგად დაბადებული ტყუპები. სქესი იდენტურია;

დიზიგოტური ტყუპები - დამოუკიდებლად განაყოფიერებული 2 კვერცხუჯრედის შედეგად დაბადებული ტყუპები.

გარემოს ზეგავლენა განვითარებაზე

ტერატოლოგია არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს განვითარების დარღვევებს. **ტერატოგენი** არის ფაქტორი, რომელიც იწვევს განვითარებაში სხვადასხვა დარღვევებს. „Tera” ბერძნულიდან ნიშნავს „მახინჯს“, ანუ ტერატოლოგია ეს არის მეცნიერება განვითარების სიმახინჯის შესახებ. ანომალიები თავს იჩენს პრენატალურ პერიოდში. თუ ტერატოგენი კრიტიკულ პერიოდში იმოქმედებს, მაშინ მივიღებთ სავალალო შედეგებს. ანომალიის განვითარებაზე მოქმედებს:

1. დოზა, რაშიც იგულისხმება ტერატოგენის მოქმედების ინტენსივობა;
2. მემკვიდრეობა - თუ ნაყოფს კარგი გენები აქვს, მაშინ შეძლებს ტერატოგენთან გამკლავებას;

3. რამოდენიმე ნეგატიური ფაქტორის ერთდროული მოქმედება - მაგალითად არასრულფასოვანი კვება და არა სასურველი წამლის მიღება;
4. ასაკი (სენსიტიური პერიოდი) - განვითარების სხვადასხვა პერიოდში მოქმედი ტერატოგენი იძლევა განსხვავებულ შედეგს. ყველაზე სენსიტიურია 2 თვე.

თავის ტვინს, სასქეო ორგანოებს და თვალებს უფრო დიდი კრიტიკული პერიოდი აქვთ, 7-8 თვემდე. თუ ამ დროსდ იმოქმედა ტერატოგენმა, მაშინ შეიძლება გამოიწვიოს ამ სამი ორგანოს დაზიანება.

ტერატოგენები

ტერატოგენის ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ანომალიები თავს იჩენენ დაბადებისას.

1. პრეპარატი „ტალიდამიდი“ - რომელსაც იღებდნენ ორსული ქალები გულის რევის შეგრძნების მოსახსნელად. ბავშვები იბადებოდნენ ანომალიებით, კერძოდ:
 - პრეპარატის მიღებიდან 34-ე - 38-ე დღეს - ბავშვებს არ ქონდათ ყურები;
 - 38-ე - 41-ე დღე- ხელების გარეშე;
 - მე-40-დან 45-ე დღემდე- კუჭისა და ნაღვლის ბუშტის პრობლემებით;
 - 42-ე დღიდან 47-ე დღემდე - ფეხების გარეშე.
2. ასპირინი - ვლინდება მცირე წონა, სიკვდილი დაბადებისას, დაბალი ინტელექტი, მოტორული განვითარების დარღვევები;
3. კაკაო, ყავა, ჩაი, კოკა-კოლა - იწვევს მცირე წონას, ბუნებრივ აბორტს, გაღიზიანებადობას, ბავშვი ვერ შემოდის კონტაქტში;
4. ნარკოტიკი (მათ შორის მეტადონი) - იწვევს მცირე წონას, ადრეულ მშობიარობას, ფიზიკურ დეფექტებს, სუნთქვის პრობლემებს. დაბადებიდან ბავშვი არის მოუსვენარი, ნარკომანი, აგრესიული. ჰიპერაქტიურობის ერთ-ერთ მიზეზად მიჩნეულია ნარკომანი მამა;
5. თამბაქო - იწვევს მცირე წონას, ყურადღების მოცულობის შემცირებას, ცუდ მეხსიერებას, დაბალ ინტელექტს, ქცევით პრობლემებს;
6. ალკოჰოლი - გარეგნობაში იწვევს: ვიწრო ქუთუთოებს, პატარა თავს, ზედა ტუჩი უფრო თხელია ვიდრე ქვედა, პატარა ცხვირს. ასევე იწვევს: გონებრივ ჩამორჩენილობას, ყურადღებისა და მეხსიერების პრობლემებს. დამახასიათებელია ჰიპერაქტიურობაც;
7. გარემო ფაქტორები - რადიაცია, ვერცხლისწყლის გადაყლაპვა და ა.შ. იწვევს კოგნიტური უნარების დაქვეითებას;
8. დაავადებები - წითელა , ჰერპესი, ყბაყურა იწვევს სიბრმავეს, გონებრივ ჩამორჩენილობას; შიდსი იწვევს ბავშვებში წონის სწრაფ კლებას, მგრძნობიარენი არიან ინფექციების მიმართ. ცოცხლობენ 5-8

თვემდე. თუ შიდასით დაავადებული დედა მიიღებს პრეპარატს „ზიდოვუდინს“, მაშინ ბავშვზე 90%-იანი ალბათობით, შიდასი არ გადავა;

9. ცხოველის ბეწვი;
10. ფიზიკური დატვირთვა - არ შეიძლება ორსული ქალისთვის ფიზიკური შრომა;
11. კვება - არასრულფასოვანი კვება იწვევს:
 - 11.1. პირველი ტრიმესტრი - მუცლის მოშლა და ფიზიკური დეფექტები;
 - 11.2. მეორე სტრიმესტრი - მცირე წონა, პატარა თავი;
 - 11.3. მესამე ტრიმესტრი - ორგანოების ჩამოყალიბების შეფერხება;
12. სტრესი - იწვევს მუცლის მოშლას, ადრეულ მშობიარობას, მცირე წონას, საჭმლის მომწელებელი სისტემის დისფუნქციას. ფიზიკური დეფექტებიდან აღსანიშნავია გახლეჩილი ტუჩი, კუჭის ყელი კი შევიწროვებულია;
13. დედის ფაქტორი - იგულისხმება დედის ასაკი, რომელიც არ უნდა იყოს 17-18 წელზე დაბლა და 40-45 წელზე ზემოთ;
14. რეზუს-ფაქტორი - სისხლის შემადგენლობაში ნაწილაკების არ არსებობა.

ფიზიკური განვითარება ჩვილობაში

ჩვილობის პერიოდი გრძელდება დაბადებიდან 18-24 თვემდე. ახალშობილობის პერიოდი კი გრძელდება 40 დღემდე. ამ პერიოდში ბავშვი გარემოსთან კონტაქტში არ შედის. **ვოლფის** მიხედვით ახალშობილის 6 ქცევითი მდგომარეობა არსებობს:

1. ღრმა ძილი - ბავშვს თვალები დახუჭული აქვს, მშვიდად სძინავს;
2. ზედაპირული ძილი - თვალები დახუჭულია, მაგრამ შეინიშნება გუგების მოძრაობა, მშვიდად არ წევს, შეინიშნება აქტივობები, სუნთქვა გახშირებულია;
3. ნახევრად ძილი - თვალები ღიაა, მშვიდად წევს, სუნთქვა გახშირებულია, თვალები „გაყინული“ აქვს, ხანდახან ხუჭავს, სძინავს ღია თვალებით;
4. მშვიდი სიფხიზლე - თვალები ღიაა, აყოლებს თვალებს რაღაც ობიექტებს, მშვიდად წევს, ფხიზელ მდგომარეობაშია;
5. აქტიური სიფხიზლე - იზმორება, იქნებს ხელებსა და ფეხებს;
6. ტირილი და ყვირილი.



მე-6 მდგომარეობის დროს გამოიყენება მჭიდროს გახვევა, ხელში აყვანა, დარწევა და ა.შ. გაკოჭვის დროს ახალშობილზე ძალის დატანება არ შეიძლება.

ბავშვის რეფლექსები

რეფლექსი არის თანდაყოლილი რეაქცია გამლიზიანებელზე. რეფლექსები გარემოსთან ადაპტაციაში უწყობს ხელს ახალშობილს. რეფლექსების უმეტესობა 3-4 თვის შემდეგ ქრება.

1. მოროს რეფლექსი - როდესაც ბავშვს ილიაში ხელს მოვკიდებთ და ავწევთ, ხელს გაშლის. 4 თვემდე გრძელდება;
2. კისრის რეფლექსი - ამ რეფლექსს მოფარიკავებს პოზასაც უწოდებენ. ბავშვს თუ დავაწვენთ და თავს მოვუბრუნებთ (მარჯვნივ), მაშინ ხელს და ფეხს მარჯვენა მხარეს მოხრის, ხოლო მარცხენა მხარეს ხელს და ფეხს გაშლის. ამით ამოწმებენ ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედებას. ქრება 4 თვისთვის;
3. სიარულის რეფლექსი - ბავშვს თუ დავაყენებთ, დავინახავთ, რომ შეეცდება გავლას. 2-3 თვისთვის ქრება;
4. საყრდენის რეფლექსი - ბავშვს თუ დავაყენებთ, დავინახავთ, რომ ის შეეცდება, დადგეს. გრძელდება 2 თვემდე;
5. ხელის მტევნის ტაცების რეფლექსი - ცდილობს რაღაც ნივთებს ჩაეჭიდოს. გრძელდება 5 თვემდე;
6. ბაბკინის რეფლექსი - ხელის გულზე ან მხრის სახსარზე თუ დავაჭერთ ხელს, თავს მოაბრუნებს და გაიღიმებს. გრძელდება 4 თვემდე;
7. ტერფებით ტაცების რეფლექსი - გრძელდება 9 თვემდე. ფეხის გულთან რაიმე ნივთს თუ მიუტან, მის ჩაბლაუჭებას შეეცდება;
8. ბაბისკის რეფლექსი - თუ შიშველ ტერფზე თითს გაუსმევ სიგრძეზე, 4 თითს მოკუმავს და ცერა თითს წამოწევს. გრძელდება 6 თვემდე;
9. მკერდის მოძებნის რეფლექსი - თუ ბავშვს რაიმე ნივთს მიუტან პირთან, ცდილობს პირში ჩადებას. გრძელდება 3-4 თვე;
10. წოვის რეფლექსი - მთელი ცხოვრება გრძელდება;
11. ცურვის რეფლექსი - ახალშობილი წყალში რომ ჩააგდო, გაცურავს. 6 თვე გრძელდება;
12. გუგის რეფლექსი - გრძელდება მთელი ცხოვრება.



ახალშობილის ქცევის შეფასების ბრაზელტონის სკალა

ამ სკალით ამოწმებენ ახალშობილს, თუ რამდენად კარგად ვითარდება:

1. მიჩვევა - რამდენად ადვილად ეჩვევა ბავშვი სხვადასხვა გამლიზიანებელს;
2. საორიენტაციო რეაქცია - რამდენად ადვილად მშვიდდება ბავშვი ან რამდენად სწრაფად რეაგირებს ახალ გამლიზიანებელზე;
3. კუნთური ტონუსი და აქტივობა - რამდენად აქტიურია მისი მოძრაობები;
4. მდგომარეობის დინამიკა - რამდენად ადვილად გადადის ერთიდან მეორე მდგომარეობაში;
5. მდგომარეობის რეგულირება - რამდენად ადვილად მშვიდდება;
6. ვეგეტატიური ნერვული სისტემა - გამლიზიანებელზე როგორი რეაქცია აქვს: შეხტება თუ აცახცახდება;
7. რეფლექსები - ხდება რეფლექსების შემოწმება.

დასწავლა

ისმის კითხვა, თუ რამდენად შეუძლიათ ჩვილებს დასწავლა. არსებობს დასწავლის 4 ფორმა:

1. კლასიკური განპირობებულობა - არის იგივე პირობითი რეფლექსი, ანუ როდესაც ერთი სტიმული უკავშირდება მეორეს. ყალიბდება რეფლექსებთან კავშირში;
2. ოპერანტული განპირობებულობა - თუ ქცევა მოეწონა ბავშვს, მაშინ მას სულ გაიმეორებს. ჩატარდა ექსპერიმენტი, სადაც ბავშვს აძლევდნენ საწოვარას, რომელიც მიერთებული იყო გამოსახულებასთან. თუ ბავშვი სწრაფად წოვდა, გამოსახულება უკეთესი ხდებოდა, ხოლო თუ ნელა - უარესდებოდა. ჩვილები უპირატესობას კარგ გამოსახულებას ანიჭებდნენ;
3. ჰაბიტუაცია - ნიშნავს ადაპტაციას, შეჩვევას. ბავშვი როდესაც ეჩვევა რაიმე გამლიზიანებელს, შემდეგ მის მიმართ ინტერესი ეკარგება. შემდეგ შემოდის ახალი გამლიზიანებელი, რომელიც მიიქცევს ყურადღებას. ჰაბიტუაცია პირდაპირ კავშირშია ინტელექტთან. ანუ რამდენად სწრაფად შეუძლია ჩვილს ახალი ინფორმაციის მიღება;
4. იმიტაცია - ბავშვი მიბაძავს სოციალურ გარემოს, ასევე ახალშობილიც. თუმცა ბავშვმა იმიტაცია შეიძლება მაშინვე არ გამოამჟღავნოს. იმიტაცია, როგორც რეფლექსი და მიბაძვის უნარიც ქრება, თუმცა იგი კვლავ აღმოცენდება კოგნიტურ მომწიფებასთან ერთად.

ფიზიკური და მოტორული განვითარება

გეზელი იყო ფსიქოლოგი, რომელმაც შემოიტანა ფსიქოლოგიაში ნორმატიული მიდგომა.

4 თვე - შეუძლია გადაბრუნება ზურგიდან მუცელზე და ამოსდის პირველი კბილი (კბილის ამოსვლა შეიძლება 5-6 თვის ასაკშიც); **5-6 თვე** - აღმოაჩენს ფეხებს; **5-8 თვე** - რასაც ხედავს, უნდა იმის აღება; **8 თვე** - დამოუკიდებლად ჯდება, თითებით იღებს საგნებს; **10-11 თვე** - ხოხავს; **9-12 თვე** - თავად იყენებს ჭიქას და კოვზს; **15 თვე** - დადის; **18 თვე** - ჩქარა დადის; **21 თვე** - შეუძლია ბურთზე ფეხის დარტყმა.

პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორია

პიაჟე იყო ბიოლოგი. მისი პირველი მეცნიერული ნაშრომი ეხებოდა მწერებს. პიაჟე მუშაობდა ბინესთან. ბინეს დავალებული ჰქონდა ინტელექტის ტესტების შედგენა. იგი ყურადღებას აქცევდა ბავშვების სწორ პასუხებს, ხოლო პიაჟე დაინტერესდა არასწორი პასუხებით. პიაჟე წარმოშობით იყო შვეიცარიიდან.

ფსიქოლოგია პირობითად შეიძლება 2 ნაწილად გაიყოს: პიაჟემდელი პერიოდი და პიაჟეს შემდგომი პერიოდი. პიაჟემდე ითვლებოდა, რომ ბავშვები არ განსხვავდებოდნენ მოზრდილებისგან, გარდა „რაოდენობისა“, ანუ გაიზრდება და ისწავლისო.

პიაჟეს მოსაზრებით ბავშვი თვისობრივად განსხვავდება მოზრდილისგან, ანუ სხვანაირად ხედავს სამყაროს. მან თავისი თეორია შეიმუშავა თავის 3 ბავშვზე დაკვირვებით.



პიაჟეს თეორია - ინტელექტის განვითარების ოპერაციული თეორია

ოპერაცია - ეს არის განსაკუთრებული სახის ქმედება, რომელიც ინტერიორიზირებულია და შექცევადი. ოპერაცია რაღაც მოქმედებაა.

ინტერიორიზაცია ნიშნავს მოქმედების შინაგან პლანში შესრულებას, ხოლო **შექცევადობა** ნიშნავს, რომ ყოველი მოქმედება, შეიძლება გაუქმებული იყოს საპირისპირო მოქმედებით.

პიაჟეს მიხედვით კოგნიტური განვითარება უნდა მივიდეს იმ ეტაპზე, რომ ჩამოყალიბდეს ოპერაცია, ანუ როდესაც შესაძლებელია აზროვნებითი ოპერაცია და მისი გაუქმება გონებაში.

ბავშვის კოგნიტური განვითარება გაივლის 4 სტადიას:

1. სენსო-მოტორული სტადია - 0-2 წელი;
2. ოპერანციანდელი პერიოდი - 2-7 წელი;
3. კონკრეტული ოპერაციების სტადია - 7-11/12 წელი;
4. ფორმალური ოპერაციების სტადია - 11/12-14/15 წელი.

15 წლის ასაკში კოგნიტური განვითარება სრულდება. ამ ასაკში ბავშვის კოგნიტური უნარები „ემთხვევა“ მოზრდილის უნარებს.

სქემა - იგულისხმება კოგნიტური სტრუქტურა;

ადაპტაცია - კოგნიტური სტრუქტურების წონასწორობაში ყოფნა.

ადაპტაციის ჩამოყალიბებისათვის პიაჟემ ორი პროცესი დაასახელა: **ასიმილაცია** და **აკომოდაცია**. ასიმილაციის საშუალებით ხდება გარემოდან მიღებული ინფორმაციის აღქმა და მისი ჩასმა ჩვენ სქემაში. თუ ეს ინფორმაცია იმდენად განსხვავებულია, რომ იწვევს სქემის შეცვლას, მაშინ ადგილი აქვს უკვე აკომოდაციას. ასიმილაციის დროს იცვლება ობიექტი, აკომოდაციის დროს კი - სქემა.

პიაჟეს თანახმად I სტადიაზე ბავშვს აქვს სენსო-მოტორული ქცევები. თავის 8 თვის ბავშვს მისცა სიგარეტის კოლოფი. ბავშვმა გახსნა, დაათვალიერა და ა.შ.

I პერიოდში პიაჟემ გამოყო 6 ქვე-პერიოდი:

1. ცირკულარული რეაქცია- როდესაც ბავშვი რაიმეს აკეთებს, შემდეგ იმეორებს. ეს პერიოდი გრძელდება დაბადებიდან პირველ თვემდე. ბავშვი ურთიერთობს გარემოსთან რეფლექსებით. პიაჟე ბავშვს განიხილავს აქტიურ არსებად და უწოდებს „პატარა მეცნიერს“. იგი გარემოსაც და მემკვიდრეობითობასაც თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს. მიაჩნდა, რომ ბავშვის აქტივობა განსაზღვრავს მის განვითარებას. მაგალითად, ბავშვთან ახლოს თუ წევს დედა/მამა, იგი დაიწყებს მკერდის ძებნას, რაც არის აქტივობა.
2. პირველი რიგის ცირკულარული რეაქცია - გრძელდება 1-4 თვე. ამ დროს ბავშვი აღმოაჩენს თავისი სხეულის რაღაც ნაწილებს და იმეორებს ამ ქმედებას. ათვალიერებს ხელებს, ფეხებს და ა.შ. დაკავებულია თავისი სხეულის თვალიერებით და იწყებს მის შემეცნებას.
3. მეორე რიგის ცირკულარული რეაქცია - გრძელდება 4-8 თვე. ამ დროს ბავშვი აღმოაჩენს შემთხვევით ინფორმაციას, რომელიც გარემოდან შემოდის. მაგალიტად ფეხზე თუ გამოაბამ სათამაშოს, გავლისას ხმას გამოსცემს, ამიტომ ეს ქმედება მას მოეწონება და გაიმეორებს.

4. პირველი და მეორე რიგის ცირკულარული რეაქციების კოორდინაცია - გრძელდება 8-12 თვე. ამ დროს ბავშვს ჩამოყალიბებული აქვს სხვადასხვა სქემები და იწყებს მათ კოორდინაციაში მოყვანასა და ერთდროულად გამოყენებას. პიაჟემ ჩაატარა ასეთი ექსპერიმენტი თავის შვილზე. ბავშვი იწეოდა სათამაშოსკენ, პიაჟემ ხელი დაუდო წინ და შეუშალა ხელი სათამაშოს ალბაში. რამდენჯერმე გაიმეორა ეს ქმედება. ამის შემდეგ ბავშმა დაარტყა ხელზე და აიღო (მოიპარა) სათამაშო. ბავშვმა დაიმახსოვრა, რომ ხელს უშლიდნენ და სათამაშოს ვერ აიღებდა. ამიტომ გათვალა, რომ მამის ხელი უნდა მოეშორებინა და ისე აეღო სათამაშო. ამავე პერიოდში თუ საგანს დავანახებთ ბავშვს, მერე ზედ რაიმე დავაფარებთ ისე, რომ ნაწილობრივ ჩანდეს, ბავშვი ამ საგანს მოძებნის.
5. მესამე რიგის ცირკულარული რეაქციები - გრძელდება 12-18 თვე. ამ პერიოდში შეუძლია ერთსა და იმავე საგანზე სხვადასხვა აქტივობები განახორციელოს. უყურებს ბავშვი როგორ მოდის ონკანში წყალი. მიაჭერს ხელს წყლის ჭავლს და ნახავს, რომ წყალი სხვა მიმართულებით წავა.
6. მენტალური სქემა/სტრუქტურა - გრძელდება 18-22 თვე. ამ პერიოდში ხდება ინტელექტისა და ოპერაციის პირველი ნიშნების ჩასახვა. სანამ რაიმე აქტივობას განახორციელებს ბავშვი, იგი იწყებს ფიქრს. პიაჟემ თავის ბავშვს მისცა ასანთის კოლოფი, რომელიც იდნავ იყო გახსნილი და ჩანდა შიგნით ჩაგდებული ცეპი. ბავშვმა დაიწყო პირის გაღება და დახურვა და ამის მერე მიხვდა, რომ კოლოფის გახსნა/დახურვაც შეიძლებოდა. ბავშვი აქტივობით წყვეტს პრობლემას.

სამეტყველო განვითარება ჩვილობაში

როგორ ხდება ბავშვის მიერ ენის დაუფლება და როგორ სწავლობს მეტყველებას. არსებობს მიდგომები, რომლებიც ხსნიან ამ პროცესს:

1. მიბაძვა, განმტკიცება (ბიჰევიორიზმი) - ბიჰევიორისტებს მიაჩნიათ, რომ ხდება უფროსების მეტყველებისადმი მიბაძვა. ამავე დროს ხდება განმტკიცებაც (გალიმება, დასაჩუქრება და ა.შ.) განმეორების შედეგად. ამ მიდგომის კრიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ყველაფრის განმტკიცება შეუძლებელია, რადგან ბავშვს ყველაფერზე ვერ გაუღიმებ. ასევე თუ ხდება მიბაძვით სწავლა, მაშინ ბავშვები სინტაქსის თვალსაზრისით რატომ ამბობენ ისეთ წინადადებებს, რასაც დიდები არ ამბობენ. ხშირად განმტკიცება ხდება არასწორადაც. ბავშვი იტყვის „კაკას“, მისცემ კანფეტს, რის შედეგადაც განმტკიცდება „კაკა“;
2. თანდაყოლილი ენობრივი სტრუქტურები (ჩომსკი) - ჰომსკის მოსაზრებით არსებობს თანდაყოლილი ენობრივი სტრუქტურები, რომლებიც გენეტიკურად არის ჩადებული. მათი ამოქმედების საფუძველზე ხდება მეტყველების დაუფლება. მისი აზრით არსებობს უნივერსალური

გრამატიკა, რომელიც ყველასთვის იდენტურია. არის კრიტიკაც, რომ კი არსებობს ენობრივი სტრუქტურები, მაგრამ როგორ ხდება მეტყველების დაუფლება, ამ კითხვას ჩომსკი პასუხს ვერ სცემს;

3. კოგნიტური განვითარება - ამ მიდგომის თანახმად სამეტყველო განვითარება დამოკიდებულია კოგნიტურ განვითარებაზე. როდესაც ბავშვი დაეუფლება ობიექტის მუდმივობას (8 თვე), მას შეუძლია ამ ობიექტის მოძებნა. თუ მისთვის ობიექტი მუდმივი არ არის, სახელს ვერ დაარქმევს. ბავშვის სამეტყველო ბაგაჟი იზრდება 2 წლის ასაკში. ამ პერიოდში იწყება სხვადასხვა ობიექტების კატეგორიზაცია. **ვიგოდსკის** აზრით მეტყველება და კოგნიტური განვითარება ერთდროულად მიმდინარეობს.

ენობრივი განვითარების დასაწყისი

ჯერ ხდება ენის გაგება და შემდეგ აქტიური მეტყველება. ჩვილები არ ლაპარაკობენ, თუმცა ყველაფერი ესმით.

1. სიტყვამდელი პერიოდი - აქ შედის ღულუნნი და ტიტინი. სიტყვები ჯერ არ გვხვდება. ტიტინი არის სხვადასხვა ბგერების გამოცემა;
2. პირველი სიტყვები - ეს პერიოდი მოხსენიებულია ჰოლო-ფრაზების პერიოდადაც, ანუ ერთსიტყვიანი წინადადებების სტადია. 8-9 თვისთვის ბავშვები იწყებენ პირველი სიტყვების წარმოთქმას, სადაც გარკვეული შინაარსია ჩადებული. არსებობს მეტყველების **რეფერენტული** (ჭარბობს არსებითი სახელები) და **ექსპრესიული** (ჭარბობს ზმნები) სტილები;
3. ორსიტყვიანი წინადადებები - ამ სტადიას ადგილი აქვს 11-12 თვიდან. ეს პერიოდი ცნობილია ტელეგრაფიული მეტყველების პერიოდადაც. ბავშვი ამბობს გარკვეულ სიტყვებს, არ იყენებს მორფოლოგიას და სინტაქსს. მაგალითად „დედა მსხალი წადი“.

ფსიქო-სოციალური განვითარება ჩვილობაში

ბოულბი იყო ფსიქოლოგი, რომელმაც ჩამოაყალიბა მიჯაჭვულობის თეორია. **მიჯაჭვულობა** არის ემოციური კავშირი დედასა და შვილს შორის. მიჯაჭვულობის ხარისხი განსაზღვრავს მეგობრებთან, მეზობლებთან და ა.შ. დამოკიდებულებას. მიჯაჭვულება აუცილებლად დადებითად უნდა ჩამოყალიბდეს.

ჩატარდა „გაყინული სახის“ ექსპერიმენტი. დედებს სთხოვდნენ რომ 5-6 თვის ჩვილებთან ერთად მოსულიყვნენ. შემდეგ შეყავდათ ოთახში, სადაც დედა ეთამაშებოდა ჩვილს, შემდეგ იღებდა გაყინულ

სახეს. ზოგი ბავშვი იწყებდა ტირილს, ზოგი მოიწყენდა და ა.შ. ანუ დედასთან ემოციური კავშირის გაწყვეტამ გამოიწვია უარყოფითი რეაქცია.

ბოულბი აკვირდებოდა ბავშვთა სახლებში სკოლამდელი ასაკის ბავშვების რეაქციას, როდესაც მათ სანახავად დედები მოდიოდნენ. გამოყო სამი რეაქცია განშორებაზე:

1. პროტესტი - როდესაც დედა გადიოდა, ბავშვი იწყებდა ტირილს, ფეხების ბაკუნს, გაპროტესტებას. ზოგისთვის დიდხანს გრძელდება, ზოგისთვის - ცოტა ხანს. ბავშვი შეიძლება იყოს ჩუმად ან ანგრევდეს ყველაფერს;
2. გულგატეხილობა - როდესაც პროტესტი ჩაივლის, ბავშვი არის გულგატეხილი, ნაღვლიანი. სხვისგან დახმარებას იღებს, მაგრამ ბედნიერი არ არის;
3. გარიყულობა - ბავშვი თამაშობს ჩვეულებრივად. თითქოს ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ როდესაც დედა მოდის მის სანახავად, ბავშვი მას აღარ ღებულობს.

6-7 თვის ასაკში ხდება თვითშემეცნების განვითარება ბავშვებში. 8-9 თვისთვის აცნობიერებენ, რომ სარკეში არსებული ბავშვის მოძრაობები მათსას ემთხვევა.

მერი ეინსვორტმა ჩაატარა ექსპერიმენტი, რის შედეგადაც გამოყო მიჯაჭვულობის ტიპები:

1. სანდოდ მიჯაჭვულები - 60-70% აღმოჩნდა სანდოდ მიჯაჭვული, რაც ნიშნავს, რომ კარგად შედიოდა ბავშვი კონტაქტში, არ ეშინია გარე სამყაროსი. დედის გამოჩენას ბავშვი სიხარულით ხვდებოდა და არ ეშინოდა, რომ ის წავიდოდა;
2. განრიდებულნი - უცხოებთან კონტაქტში არ შედიან. დედის მოსვლას გახარებულები არ ხვდებოდნენ. ეშინოდათ, რომ დედას დაკარგავდნენ;
3. ამბივალენტურნი - უცხოებთან კონტაქტში არ შედის. დედას შეიძლება ჩაეხუტოს, მერე კი ეჩხუბოს.

მიჯაჭვულობას განაპირობებს:

1. თბილი და ყურადღებიანი დედა;
2. სინქრონულობა დედასა და ბავშვს შორის - თუ ბავშვს უნდა ჭამა, დედამ უნდა აჭამოს და ა.შ;
3. მრავლობითი მიჯაჭვულობა - მიჯაჭვული შეიძლება იყო მამაზე, ძიძაზე, მაგრამ პრიორიტეტული მაინც დედაა.


ადრეული ბავშვობა

ლატერალიზაცია - თავის ტვინის ჰემისფეროებს შორის ფუნქციების გადანაწილება. მარცხენაშია მოთავსებული მეტყველების, სმენის, ლოგიკის, მათემატიკის ცენტრი, ხოლო მარჯვენაშია - შემოქმედების, ფანტაზიისა და აღქმის ცენტრი. ლატერალიზაციის 2 წლის ასაკისთვის აქვს ადგილი. ამ პერიოდში გამოყოფენ მემარცხენე-მემარჯვენეობას. მემარცხენეობის დროს ორივე სფერო აქტიურია, ხოლო მემარჯვენეობის დროს - მხოლოდ მარცხენა. ბავშვთან მოტორულ განვითარებას განსაზღვრავს 4 ფაქტორი:

1. მზაობა - გარკვეული მოტორული სტრუქტურა მომწიფებულია რაიმე აქტივობისთვის;
2. აქტივობა - ბავშვმა თავად უნდა იაქტიუროს, თორემ ვერ განვითარდება;
3. ყურადღება - რამდენად შეუძლია ყურადღების წარმართვა იმ აქტივობისკენ, რომელიც უნდა ისწავლოს;
4. უკუ-კავშირი - მოიაზრებს შინაგან და გარეგან მოტივაციას. როდესაც ბავშვი აქტივობს, სიამოვნებს.

კოგნიტური განვითარება ადრეულ ბავშვობაში

ოპერაციანდელ სტადიაში (2-7 წელი) გამოიყოფა ორი ქვე-პერიოდი: ცნებამდელი პერიოდი (2-4 წელი) და ინტუიტური პერიოდი (4/5-7 წელი). ცნებამდელი პერიოდისთვის დამახასიათებელია ანიმიზმი და ეგოცენტრიზმი. ამ ასაკის ბავშვი ვერ არჩევს სოციალურ, ფიზიკურ და მენტალურ სინამდვილეს.



ეგოცენტრიზმი - იგი სამყაროს საკუთარი პოზიციიდან ხედავს;

ანიმიზმი - მას გონია, რომ უსულო საგნებიც ემორჩილებიან სოციალურ გარემოს.

ინტუიტური პერიოდისთვის ბავშვს უკვე შეუძლია გაარკვიოს სოციალური, ფიზიკური და მენტალური სინამდვილე. თუმცა შეიძლება ერთმანეთში აერიოს. ამ ასაკის ბავშვებს სჯერავთ, რომ თოვლის პაპა არსებობს.

ოპერაციანდელ პერიოდში ადგილი აქვს სიმბოლური რეპრეზენტაციის განვითარებას, ანუ მოქმედებებისა და ხატების საშუალებით საკუთარი განცდების გადმოცემა. ოპერაციანდელი სტადიისთვის 5 თავისებურებაა დამახასიათებელი:

1. კონკრეტულობა - ბავშვის აზროვნება პიაჟეს მიხედვით კონკრეტულია. მას შეუძლია პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ კონკრეტული ობიექტების საშუალებით;
2. შეუქცევადობა - ბავშვს არ ესმის, რომ ობიექტი შეიძლება გადავიდეს ერთიდან მეორე მდგომარეობაში (- გყავს და? - კი. მყავს. - შენ დას ყავს და? - არა!);

3. ეგოცენტრიზმი - საკუთარი პოზიციიდან ხედვა, რაც 4 წლამდეა გაბატონებული;
4. ბავშვი ცენტრირებულია ობიექტის რომელიმე ერთ ასპექტზე და სხვა ნაწილებს აიგნორებს;
5. რეალიზმის პრინციპი - ბავშვი ყურადღებას აქცევს მიმდინარე მდგომარეობას და არა - ცვლილებებს. ერთნაირი მოცულობის სინჯარაში, სადაც ერთი დაბალი და მსუქანი იყო, მეორე კი მაღალი და გამხდარი, გადაასხეს წყალი დაბლიდან მაღალში. ბავშვები ამბობდნენ, რომ მაღალში უფრო მეტი იყო.

გოგონები ბიჭებზე ადრე სწავლობენ მეტყველებას. როდესაც ბავშვი 2 ენას ერთდროულად სწავლობს, ეს კოგნიტურ განვითარებას უწყობს ხელს.

სამეტყველო განვითარებაში **ბრაუნი** გამოჰყოფს 5 სტადიას. ეს სტადიები უნივერსალურია, მაგრამ დროში ცვალებადი.

1. ორსიტყვიანი წინადადებები;
2. ფლექსიების გამოყენება;
3. უარყოფითი და ბრძანებითი წინადადებები;
4. თანწყობილი წინადადებები;
5. ქვეწყობილი წინადადებები.

ამ პერიოდის თამაშის სახეებია:

1. სენსორული თამაშები - დათვალიერება, სენსორული ორგანოების გავარჯიშება ხდება;
2. მოტორული - დახტის, დარბის;
3. თამაში ჩხუბი - ჭიდაობენ, სინჯავენ ძალებს;
4. როლური თამაში - მაგალითად „სახლობანა“;
5. ენით თამაში - იგონებს სხვადასხვა სიტყვებს;
6. წერებანა თამაში - მაგალითად „დახუჭობანა“.



პიაჟეს საწინააღდეგო მოსაზრება თქვა ვიგოსკიმ, რომლის აზრითაც სწავლება უნდა დაეყრდნოს არა აქტუალური განვითარების დონეს, არამედ უახლესი განვითარების ზონას, ანუ იმ კოგნიტურ სტრუქტურებს, რომლებიც მომწიფებულია ამ პერიოდში. რასაც ბავშვი აკეთებს ჩვენი დახმარების გარეშე, ეს არის აქტუალური განვითარების დონე, ხოლო რასაც ჩვენი დახმარებით აკეთებს - უახლესი განვითარების ზონა. უახლესი განვითარების ზონა მუდმივი არ არის. დღეს თუ რაიმე უნარი არ არის კარგად ჩამოყალიბებული, ხვალ გაუმჯობესდება ან გაუარესდება (ცუდად სწავლობდა, ეხლა კარგად სწავლობს).

ფსიქო-სოციალური განვითარება ადრეულ ბავშვობაში

ამ პერიოდში ადგილი აქვს კრიზისის ინიციატივა/დანაშაულის გრძნობა. ინიციატივა უნდა წახალისდეს თავისუფლების მინიჭებით.

არსებობს რამდენიმე მიდგომა:

1. ფსიქოდინამიკური მიდგომა - აქცენს აკეთებს აღმოცენებულ ემოციებსა და მათ რეგულაციაზე. ფსიქოდინამიკური მიდგომა განიხილავს ორ ემოციას. ადრეულ ბავშვობაში შიში აღმოცენდება ადრეულ ასაკში, რომელსაც აქვს თავისი ობიექტი, ყოველთვის კონკრეტულია. 2-3 წლისთვის კონკრეტულია, 4-5- წლისთვის-აბსტრაქტული (მაგალითად სიბნელე). ფსიქოდინამიკური განვითარების მიზანი არის გარემოსთან ადაპტაცია. ნეგატიური ემოციებისგან თავის დაღწევა ხდება თავდაცვის მექანიზმებით:

- A. განრიდება - საშიში სიტუაციიდან წასვლა;
- B. იდენტიფიკაცია - მოზრდილ ადამიანთან თავის გაიგივება (მამას არ ეშინია, მეც არ მეშინია);
- C. პროექცია - საკუთარი შიშის სხვაზე მიწერა;
- D. ჩანაცვლება - ყურადღების სხვა რაიმეზე გადატანა;
- E. უარყოფა - მომხდარი ფაქტის უარყოფა;
- F. განდევნა - ცნობიერიდან განდევნა;
- G. რეგრესია - საშიშ სიტუაციაში მყოფი ბავშვი იწყებს თითის წოვას, ტირილს;
- H. რეაქტიული წარმონაქმნი - რაც რეალურად უნდა, იქცევა ამის საპირისპიროდ.

შფოთვას ობიექტი არ ყავს. მას იწვევს გარკვეული სიტუაცია. დაცვის მექანიზმების საშუალებით ხდება ემოციების რეგულირება. ამ დროს თავს იჩენს პრობლემა დაემორჩილოს უფროსს(ავტორიტეტს) თუ შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა.

2. კოგნიტური მიდგომა - აქცენტს აკეთებს კოგნიტურ განვითარებაზე, რის შედეგადაც ბავშვი ეუფლება სხვადასხვა ცნებას, არეგულირებს თავის ქცევებს. ყალიბდება მე-კონცეფცია (2-6 წელი). შეუძლია ხტომა, ველოსიპედზე ჯდომა. მშობლების შეფასება გავლენას ახდენს. ვითარდება გენდერული სქემები (ვარ გოგო/ბიჭი). სქესის იდენტიფიკაცია ხდება 2-5 წლამდე, მუდმივობა ყალიბდება 5-7 წლამდე.

3. ბიჰევიორალური მიდგომა - აქცენტს აკეთებს გარემოს გავლენაზე. ბანდურა აქცენტს აკეთებს აგრესიული და პროსოციალური ქცევის ფორმირებაზე. მილერი და დოლარდის აზრით კი აგრესიულ ქცევას იწვევს ფრუსტრაცია.

თამაშის როლი სოციალური ჩვევების ჩამოყალიბებაში

თამაში ქცევის წამყვანი ფორმაა.

1. მარტო თამაში (2-3 წელი) - არ ეკარებიან ერთმანეთს, არიან ეგოცენტრულები. სოციალიზაცია დაბალ დონეზეა;
2. თამაში დაკვირვება (3 წელი) - სხვას აკვირდება, მაგრამ მაინც მარტო თამაშობს;
3. პარალელური თამაში - გვერდიგვერდ თამაშობენ, მაგრამ საერთო არაფერი აქვთ;
4. ასოციაციური თამაში - ათხოვებენ რაღაცეებს ერთმანეთს;
5. ერთად თამაში (5-6 წელი) - როლური თამაშები და თამაშები წესებით.

აღზრდის სტილები

გამოყოფენ აღზრდის 4 სტილს:

| აღზრდის სტილი | კონტროლი | სითბო |
|---------------|----------|-------|
| ავტორიტარული | + | - |
| ავტორიტეტული | + | + |
| ლიბერალური | - | + |
| ინდიფერენტული | - | - |

კოგნიტური განვითარება შუა ბავშვობაში

პიაჟეს მიხედვით ეს პერიოდი მოიცავს 7-11/12 წლამდე. ამ პერიოდში ადგილი აქვს კონკრეტული ოპერაციების სტადიას, ანუ ბავშვს შეუძლია თვალსაჩინო ობიექტებზე მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა. შეუძლია, მოწყდეს რეალიზმის პრინციპს. ინფორმაციული მიდგომა კოგნიტურ განვითარებას განიხილავს, როგორც კომპიუტერს (ინფორმაციის შესვლა-გადამუსავება). ამ ასაკში ვითარდება მეხსიერება და მეტა-მეხსიერება. დასამახსოვრებლად იყენებს შემდეგ სტრატეგიებს:

1. განმეორება;
2. ორგანიზაცია ჯგუფებად, კლასებად;
3. სემანტიკური დამუშავება - შინაარსობრივად დამუშავება;
4. გონებრივი ხატის შექმნა;
5. მეხსიერებაში ინფორმაციის ძრბნა/გახსენება;
6. სცენარის შექმნა.



მეტა-მეხსიერების განვითარება ხელს უწყობს საკუთარი აზრების, ქცევების, შემეცნებითი პროცესების კონტროლს.

სამეტყველო განვითარება შუა ბავშვობაში

ამ პერიოდში ვითარდება წიგნიერება. ესმით ის, რასაც კითხულობენ. ვიგოდსკის აზრით, ბავშვები სწავლობენ წერა-კითხვას სოციალური ინტერაქციის საფუძველზე. სოციალური აქტივობა წარმოადგენს წაკითხულის გარჩევას. მნიშვნელოვანია თანატოლებს შორის სოციალური აქტივობა.

სწავლის უუნარობა

გამოყოფენ ორ ჯგუფს:

- 1.1. დისლექსია - პრობლემები კითხვის დაუფლებისას, უჭირს ამოკითხვა, პრობლემა აქვს უცხო ენის სწავლასთან;
- 1.2. დისგრაფია - ვერ სწავლობს წერას, ტოვებს ასოებს;
- 1.3. დისკალკულაცია - კითხულობს, წერს, მაგრამ ვერ აზოვნებს მათემატიკურად;
- 2.1. ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტიურობა - არ შეუძლია ყურადღების კონცენტრირება ერთი მიმართულებით. იგი წარმოადგენს ტვინის დისფუნქციას. მსგავსი რამ ემართებათ ასფიქსიაში (ჰიპლარშემოხვეულები როდესაც იბადებიან) დაბადებულებს, რადგან სუნთქვას მალე ვერ იწყებენ და კვდება ტვინის უჯრედები. ამის მიზეზია ნარკომანია და გენეტიკა.

ფსიქო-სოციალური განვითარება შუა ბავშვობაში

ამ ასაკში თავს იჩენს კრიზისი შრომისმოყვარეობა/არასრულფასოვნება. ენერჯის სუბლიმაცია ხდება სწავლაზე, შემოქმედებასა და ურთიერთობებზე.

პიაჟეს მიხედვით ამ პერიოდში დაძლეულია ეგო-ცენტრიზმი. ყალიბდება სიმართე/უსამართლობის გრძნობა. ხდება სოციალური განვითარება.

კოლბერგის მიხედვით 14-15 წლის ასაკში აბსოლიტური ზნეობის კატეგორია ყალიბდება.

თუ ადრეულ ასაკში უფროსების შეფასება გავლენას ახდენდა, ახლა თავად შეუძლიათ შედარების საფუძველზე საკუთარი თავის შეფასება. დისლექსიის შემთხვევაში ეცემა თვითშეფასება.

ბავშვებისადმი ცუდი დამოკიდებულება შეიძლება გამოიხატოს ორი ფორმით:

1. ფიზიკური დასჯით;
2. ფსიქოლოგიურად (დამცირება).

მშობლების მხრიდან ბავშვებზე ძალადობა შეიძლება სამგვარად აიხსნას:

1. ფსიქიატრიული - თუ მშობელს ფსიქიკური აშლილობა აქვს, მაშინ ბავშვზე მოსალოდნელია მისი მხრიდან ცუდი მოპყრობა;
2. სოციოლოგიური - ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, უმუშევრობა ქვეყანაში განსაზღვრავს ძალადობას;
3. სიტუაციური - კონკრეტული სიტუაცია იწვევს ძალადობას. თუ ბავშვის ტემპერამენტი მშობლებისგან განსხვავებულია, მაშინ მასზე ძალადობა მოსალოდნელია.

ინტელექტი

ინდივიდუალურ შესაძლებლობებს შორის განსხვავება დგინდება ორი სახის ტესტებით:

1. კრიტერიულად ორიენტირებული ტესტები - ამოწმებს ცოდნასა და მიღწევას კონკრეტულ დაგზი;
2. სტატისტიკურ ნორმაზე ორიენტირებული ტესტები - IQ-ს შედარება ხდება ნორმასთან. **ბინემ** დაადგინა, რომ შრიძლება ბავშვი 5 წლის იყოს, მაგრამ მისი გონებრივი ასაკი იყოს 7 ან 8 წელი.

$$IQ = \frac{\text{გონებრივი ასაკი}}{\text{მეტრიკული ასაკი}} * 100\%$$

ინტელექტის 80% თანდაყოლილია, ხოლო 20% - შეძენილი. ბინეს ტესტები იკვლევს ინტელექტის ზოგად უნარებს.

გარდნერმა გამოყო 7 სახის ინტელექტი, რომელიც 2 ჯგუფად გააერთიანა:

1. ლინგვისტური, მუსიკალური, ლოგიკა-მათემატიკური, სივრცითი;
2. კინესთეტიკური, ინტერპერსონალური.

რობერტ სტენბერგის აზრით ინტელექტი შედგება შემდეგი უნარებისგან:

1. ანალიტიკური - ანალიზი, შეფასება, შედარება, დაპირისპირება;
2. შემოქმედებითი - აღმოცენა, წარმოსახვა, კრეატიულობა;
3. პრაქტიკული - ვაჭრობა, გამოყენება.

მოზარდობის პერიოდი

მოზარდობის პერიოდი გრძელდება 11-დან 20 წლამდე. გამოყოფენ ადრეულ მოზარდობას (12-14/15 წელი) და გვიან მოზარდობას (15-დან 20 წლამდე).

XX საუკუნის ბოლოს მცხოვრებ მოზარდებზე მოქმედი ფაქტორებია:

1. ასაკობრივი სეგრეგაცია - „სეგრეგაცია“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გამოყოფას. მოზარდობა ეს არის გარდამავალი ასაკი ბავშვობასა და მოზრდილობას შორის. არ არიან არც ბავშვები და არც მოზრდილები. ეს არის ცალკე ფენა;
2. ხანგრძლივი ეკონომიკური დამოკიდებულება - თუ ქვეყანაში არ არის სამუსაო ბაზარი, ეს იქნება წინაპირობა იმისა, რომ მოზარდი იქნება ფინანსურად მშობლებზე დამოკიდებული;
3. არასტაბილური სიტუაცია მსოფლიოში - მსოფლიოში არსებული ცხელი წერტილები გავლენას ახდენს მოზარდობის ფსიქიკაზე;
4. მასმედია - მასმედიაში გავრცელებული ინფორმაცია ასევე მოქმედებს მათ ფსიქიკაზე.



მამაკაცის ჰორმონია ანდროგენი და ტესტოსტერონი, ხოლო ქალის ესტროგენი და პროტესტორენი. ფიზიკური განვითარების დროს იზრდება ორგანიზმი, მაგრამ არა პროპორციულად. თავი 11 წლის ასაკში ასრულებს ზრდას. პირველ რიგში იზრდება ხელის მტევანი და ფეხის ტერფი, სახეზე - ცხვირი და ყურები, შემდეგ კიდურები და ბოლოს ტანი. ჰორმონების გააქტიურების შედეგად ხდება საოფლე ჯირკვლების ამოქმედება, რაც იწვევს ჭარბ ოპფლიანობას. მომატებული ცხიმოვანობა იწვევს აკნეს, რაც მოზარდობის ჩაკეტვის მიზეზი ხდება.

ამ პერიოდში ძირითად პრობლემას ბიჭებში წარმოადგენს ძალების მოსინჯვა და ჩხუბი, ხოლო გოგონებში - ჭარბი წონა. გოგონები უფრო ადრე მწიფდებიან, ვიდრე ბიჭები.

მოზარდობის პერიოდში თავს იჩენს ნერვული ანორექსია (საკვების მიღებაზე უარის თქმა) და ბულიმია (ძალიან ბევრს ჭამენ).

აღსანიშნავია მოზარდთა ეგოცენტრიზმიც, რომელიც 3 ფორმით ვლინდება:

1. „წარმოსახული აუდიტორია“ - მათ გონიათ, რომ ყველა ისეთ ყურადღებას აქცევს, როგორც თავად აქცევენ საკუთარ თავს;
2. პერსონალური მითი - გადაჭარბებულად არიან დარწმუნებულნი საკუთარ შესაძლებლობებში. გონიათ, რომ ხიფათი არ მოუვათ;

3. „აყვანილი ბავშვის მითი“ - თავი იმდენად განსაკუთრებული გონიათ, რომ თავს მშობლების მსგავსად არ მიიჩნევენ.

მოზარდობის ასაკში კოგნიტური განვითარება

პიაჟეს მიხედვით ამ პერიოდში ადგილი აქვს ფორმალური ოპერაციების სტადიას. მოზარდებს შეუძლიათ ფორმალური მსჯელობები, ჰიპოთეზებითა და ვარაუდებით საუბარი. ჩატარდა ექსპერიმენტი, სადაც ბავშვებსა და მოზარდებს ეკითხებოდნენ, რომ აღმოაჩინეს უცნობი ცხოველი, რომელსაც ჰქონდა 4 ფეხი და იყო თუ არა ეს ცხოველი ცხენი?

ბავშვების უმეტესობა პასუხობდა, რომ არ იცოდა, ხოლო ვინც ამბობდა „არა“-ს, ასაბუთებდა იმით, რომ ძალსაც 4 ფეხი ჰქონდა. მოზარდების უმეტესობა ამბობდა, რომ საკმარისი ინფორმაცია არ იყო დასკვნის გასაკეთებლად.

პიაჟე მიიჩნევს, რომ ფორმალური ოპერაციების სტადია 14/15 წლის ასაკში სრულდება და რომ აზროვნების უმაღლესი დონე მიიღწევა 15 წლის ასაკში. ყველა აღნიშნავს, რომ აუცილებელი არაა ყველამ მიაღწიოს ამ დონეს და სწორედ ამიტომ აკრიტიკებენ პიაჟეს, რომ რადგან ყველა ვერ აღწევს ამ დონეს, რატომ არის ცალკე სტადიად გამოყოფილი და რატომ არ შეიძლება გაერთიანებული იყო კონკრეტული ოპერაციების სტადიაში.

ანჰელდერი იყო პიაჟეს მოსწავლე. მისი აზრით ფორმალური აზროვნების სტადიისთვის დამახასიათებელია:

1. უნარი პრობლემის გადაწყვეტისას გაითვალისწინოს ცვლადების ყველა კომბინაცია;
2. უნარი ივარაუდოს, თუ რა გავლენას მოახდენს ერთი ცვლადი მეორეზე;
3. უნარი გააერთიანოს ან გამოყოს ცვლადები ჰიპოთეტურ-დედუქციურ დონეზე.

ფორმალური ოპერაციების სტადიაზე თავს იცენს ლოგიკური აზროვნება. მოზარდებისთვის დამახასიათებელია ფანტაზია. ვიგოდსკის აზრით, მოზარდისთვის ფანტაზია იგივეა, რაც ბავშვისთვის თამაში. მოზარდისთვის ცუდია, თუ მხოლოდ ფანტაზიურობს და სცილდება რეალობას, მაგრამ კარგია იმ კუთხით, რომ რასაც ვერ იკმაყოფილებს რეალობაში, იმის რეალიზებას ახდენს ფანტაზიაში. რადგან ლოგიკური აზროვნება ვითარდება, მოზარდებისთვის საინტერესოა ეთიკურ ნორმებზე, რელიგიაზე და პოლიტიკაზე საუბარი.

2-3 წლის ბავშვები სვამენ კითხვებს: „ეს რა არის?“

4-5 წლის ბავშვები - „როგორ ხდება?“

მოზარდები - „რატომ ვცხოვრობ?“ , „ვინ ვარ?“

ინფორმაციული მიდგომის წარმომადგენლები აზროვნების პროცესს განიხილავენ, როგორც კომპიუტერს (კოდურება - დეკოდირება). ხოლო ლოგიკური აზროვნების დროს მეტა-შემეცნებაზე აკეთებენ აქცენტს.

მოზარდი ოჯახში

რის გამო შეიძლება მოხდეს ოჯახში კონფლიქტი?

1. უფროსი თაობა რეალისტია, მოზარდები - იდეალისტები;
2. მოზარდილები არიან კონსერვატორები, მოზარდები - ლიბერალები;
3. მოზარდილები შეგუებულნი არიან რეალობას, მოზარდები არიან მემზობხეები.

კონფლიქტებზე გავლენას ახდენს ასაკი და სოციალური გარემო. უფრო კონფლიქტურია ადრეული მოზარდობა. კონფლიქტები იწყება მე-7 კლასში, მე-8 კლასში (13-14 წელი) პიკს აღწევს და მე-9 კლასში სიმშვიდეს აქვს ადგილი.

როგორი მშობლები უნდათ მოზარდებს?

1. გამგები;
2. ემპათიური;
3. ყურადღებიანი;
4. უნდათ, რომ უპირობოდ უყვარდეთ და ეუბნებოდნენ ხშირად „მიყვარხარ“;
5. აღზრდის სტილი - უნდათ ავტორიტეტული მშობლები და არა - ლიბერალები. მოზარდებს სურთ, რომ მშობლებს მიბაძონ.

მე-კონცეფცია, თვითშეფასება, იდენტობა

მე-კონცეფცია არის შეხედულება საკუთარ თავზე (გარეგნობაზე, ხასიათის თავისებურებებზე, შესაძლებლობებზე). იგი ჩამოყალიბებას სამი წლის ასაკიდან, მაგრამ ამ პერიოდში მე-კონცეფცია დამოკიდებულია მოზრდილების შეფასებაზე. შუა ბავშვობაში ტავად აკვირდებიან ფიზიკურ ნიშნებს, ხოლო საბოლოოდ მე-კონცეფცია ყალიბდება მოზარდობის პერიოდში. **რუტ სტრენგი** განარჩევს 4 სახის მე-კონცეფციას:

1. ზოგადი მე-კონცეფცია - მოიცავს შეხედულებას ფიზიკური ნიშნების, შესაძლებლობებისა და სოციალური როლების შესახებ;
2. დროებითი მე-კონცეფცია - რაღაცა ფაქტორების გამო ჩვენი ზოგადი მე-კონცეფცია შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ეს არ გამოიწვევს მის სრულ შეცვლას (მივიღე 2-იანი და ვიფიქრე, რომ არაფერი შემოიძლია. თუ სულ იმოქმედებს ეს ფაქტორი, მაშინ ეს გამოიწვევს ზოგადის სრულ შეცვლას);
3. სოციალური მე - ის შეხედულებები და აზრები, რასაც საზოგადოება ფიქრობს ჩემზე;
4. იდეალური მე- როგორი მინდა, რომ ვიყო მე.

მე-კონცეფციაზე გავლენას ახდენს:

1. ღირებული უფროსები (მშობლები, პედაგოგები);
2. მშობლებთან დამოკიდებულება;
3. სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი;
4. ფიზიკური ნაკლი;
5. სტრესი;
6. ნაციონალობა;
7. ოჯახში მერამდენე ბავშვია (გარკვეულწილად).

თვითშეფასება გულისხმობს ჩემი მე-კონცეფციის შეფასებას. თვითშეფასება არის მაღალი, დაბალი და ადეკვატური. საუკეთესოა ადეკვატური თვითშეფასება, რომლის ჩამოყალიბებაშიც დიდ როლს თამაშობს სწორი აღზრდა. თვითშეფასება შეიძლება გავაიგივოთ ემოციასთან, ხოლო მე-კონცეფცია - აზრთან.

თვითშეფასება გავლენას ახდენს შემდეგზე:

1. ფსიქიკური ჯანმრთელობა - არა ადეკვატურმა თვითშეფასებამ შეიძლება გამოიწვიოს ფსიქიკური აშლილობა;
2. სოციალური ადაპტაცია - მაღალი ან დაბალი თვითშეფასების ადამიანს გარემო არ რეზულობს;

3. სწავლა და პროფესიის არჩევა - დაბალი თვითშეფასების მქონე სწავლას უკლებს, რადგან მიაჩნია, რომ მაინც არაფერი გამოუვა. მაღალი თვითშეფასების მქონე კი ყველა წარუმატებლობას გარემოს აბრალებს;
4. დევიანტური ქცევა - ანუ ასოციალური ქცევამ. ვინც არღვევს საზოგადოებრივ ნორმებს, მათ უმეტესობას დაბალი თვითშეფასება აქვს.

იდენტობა ეს არის საკუთარი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, რაც მოიცავს ჩემი ღირებულებების, იდეოლოგიების, სოციალური როლების, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებების სისტემას. იდენტობა საბოლოოდ ყალიბდება მოზარდობის ასაკში და მისი საპირისპიროა როლების არევა.

მარსიას მიხედვით არსებობს 4 სახის იდენტობა:

1. წინასწარი იდენტობა - კრიზისს ადგილი არ აქვს. მოზარდის იდენტობის ჩამოყალიბება ხდება უფროსების ჩარევით. მოზარდი ყველაფერს კრიტიკის გარეშე იღებს;
2. დიფუზური იდენტობა - კრიზისს ადგილი აქვს. მოზარდი შეეცადა რაღაცეების გარკვევას, თუმცა შემდეგ თავი დაანება თვითგამორკვევას, ანუ იდენტობა არ მოხდა;
3. გადავადება/მორატორიუმი - შეხვდა კრიზისს, არ გამოუვიდა რაღაცეები და გადაავადა. შემდეგ შეეცდება მის გარკვევას. მოზარდები უმეტესად არიან მორატორიუმში;
4. მიღწეული იდენტობა - კრიზისმა გადაიარა და მოზარდი გაერკვა, რატომ ცხოვრობს და იპოვნა თავისი ადგილი.

სხვადასხვა ფაქტორები იწვევენ იდენტობის შეცვლას. ქალი რომ გათხოვდება, უყალიბდება ახალი იდენტობა, ხოლო რომ გაშორდება - კიდევ ახალი იდენტობა.



ადრეული მოზრდილობა

მოზრდილობის პერიოდში ადგილი აქვს მარკირების პრობლემას. გვჭირდება გარკვეული ნიშნები, რის საფუძველზეც გამოვეყოფთ მოზრდილობას. მოზრდილობაში მეტრიკულ ასაკს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, აქ უფრო მნიშვნელოვანია სოციალური და კულტურული ნორმები. მოზრდილობის პერიოდში გამოიყოფა სამი პერიოდი:

1. ადრეული მოზრდილობა - 20-40/45 წლამდე;
2. შუა ხანი - 45-60/65 წლამდე;
3. გვიანი მოზრდილობა - 65 წლიდან და ზემოთ;
 - 3.1. მხცოვანობა - 90 წლიდან და ზემოთ.

ერთ-ერთ მარკერად შემოტანილ იქნა „ასაკობრივი საათის ცნება“, რომელიც შეგვიძლია აღვიქვათ, როგორც შინაგანი გრაფიკი, რომელსაც ვადარებით იმ სოციალურ მოვლენებს, რომლებსაც ადგილი აქვს სოციუმში. ეს საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ, ჩამოვრჩით თუ წინ გავუსწართ იმ დროს არსებულ მოვლენებს.

მეორე მარკერად შემოტანილ იქნა კრიტიკული სიტუაციებისადმი გამკლავების უნარი. ამ ნიშანზე მოქმედებს: პროფესიონალიზმი, განათლება, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაცია, მხარდაჭერა ოჯახიდან, გარემო და პიროვნული ნიშნები.

არსებობს ასაკის სამი განმარტება:

1. ბიოლოგიური ასაკი - სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ალბათობა. განვიხილოთ 40 წლის ასაკის 2 კაცი, საიდანაც ერთს ზეგ აქვს ქორწილი, ხოლო მე-2-ს რამდენიმე დღის სიცოცხლეა დარჩა. ანუ მეტრიკული ასაკი ღირებული არაა;
2. სოციალური ასაკი - რამდენად შეესატყვისება ადამიანის სოციალური მდგომარეობა კულტურაში არსებულ მოთხოვნებს. საზოგადოება სულ სხვა სოციალურ სტატუსს მიანიჭებს იმ 50 წლის მამაკაცს, ვისაც შვილები და შვილიშვილები ჰყავს და სულ სხვა სტატუსს მიანიჭებს იმ 50 წლის კაცს, ვისაც ჯერ ცოლიც კი არ ჰყავს;
3. ფსიქოლოგიური ასაკი - რამდენად შეუძლია ადამიანს გარემოსთან ადაპტაცია.

სამივე ასაკის გაერთიანებით ვიღებთ მოწიფულობას, წინაარდევ შემთხვევაში ადამიანს ვუწოდებთ ინფანტილურს. ფიზიკური ძალა და ამტანობა არის მაღლივი. 40/45 წლამდე არის პლატო, სპორტსმენები ძირითადად ამ ასაკში აღწევენ წარმატებებს. ფროიდის და ერიქსონის მოსაზრებით, ადამიანს გადასაწყვეტი აქვს 2 პრობლემა: მოაგვაროს ინტიმური ურთიერთობები და გაიკეთოს კარიერა.



კოგნიტური განვითარება ადრეულ მოზრდილობაში

ჩნდება კითხვა, პიაჟეს მიხედვით მივალწიეთ თუ არა კოგნიტური განვითარების პიკს? მოზრდილობაში ხდება კოგნიტური განვითარების პროგრესი თუ რეგრესი?

XX საუკუნის დასაწყისში შეისწავლეს ახალგაზრდებისა და ხანშიშესულების კოგნიტური შესაძლებლობები ჩაჭრების მეთოდით. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდებს უფრო მაღალი IQ ჰქონდათ. XX საუკუნის 30-40-იან წლებში კი ჩატარდა ლონგვიტიდური კვლევა. 20 წლის მანძილზე ხდებოდა IQ-ს ცვლილებების შესწავლა. მიღებული შედეგები ადასტურებდა, რომ ადგილი ქონდა კოგნიტური უნარების გაუმჯობესებას და არა - რეგრესს. მირებული შედეგების განსხვავებულობა გამოიწვია კვლევის ჩატარების მეთოდის სახეებმა.

განათლება და სწავლა დიდ გავლენას ახდენს კოგნიტური სტრუქტურების განვითარებაზე. ახალგაზრდებს განვითარებული აქვთ ისეთი კოგნიტურის ტრუქტურა, როგორცაა სისწრაფე. არქიტექტორებს სივრცით-ვიზუალური სტრუქტურა აქვთ განვითარებული, ხოლო ფსიქოლოგებს - ალბათური აზროვნების სტილი.

პერი იყო მკვლევარი, რომელიც 4 წლის მანძილზე აკვირდებოდა სტუდენტების კოგნიტური სტრუქტურების განვითარების პროცესს. მან გამოყო სამი საფეხური:

1. პირველ კურსელების აზროვნების სტილი არის:
 - 1.1. დუალისტური - სულ ან არაფრის პრინციპი;
 - 1.2. ავტორიტარული - გაიგებენ რაიმე მოსაზრებას და ექცევიან მისი გავლენის ქვეშ. გონია, რომ მხოლოდ ის არის სწორი;
2. კონცეპტუალური რელატივიზმის სტადია - „რელატივიზმი“ ლათინური სიტყვაა და ქართულად ნიშნავს „შეფარდებას“. ეს არის იდეალისტური მიმართულება ფსიქოლოგიაში, რომელიც აღიარებს ცოდნის შეფარდებითობას და უარყოფს - ჭეშმარიტებას. ამ საფეხურზე სტუდენტები ხვდებიან, რომ არსებობს სხვადასხვა შეხედულება (პიაჟესთან პარალელის გავლებით, ეს ახალი საფეხურია);
3. საკუთარი აზრის გაჩენა.

პირველიდან მეორე საფეხურზე გადასვლას იწვევს:

- A. სტუდენტები იღებენ მეტ ინფორმაციას;
- B. პედაგოგები აჩვენებენ მსგავსი აზროვნების სტილს;
- C. პედაგოგებს კატეგორიული პასუხი არ აქვთ.

კლაუს რიგელის მიხედვით არსებობს კოგნიტური განვითარების მეხუთე სტადია - დიალექტური აზროვნების სტილი, სადაც ადამიანი ახდენს საპირისპირო აზრების სინთეზირებას (პერის მე-2 და მე-3 სტადიების ანალოგი). აქ მნიშვნელოვანია რეალურისა და იდეალურის ინტეგრაცია.

გიზელა ლეიბოვი-ვიფის მოსაზრებით არსებობს კოგნიტური განვითარების მეხუთე სტადია - კოგნიტური მომწიფება. ამ სტადიის კრიტერიუმებია ვალდებულება და პასუხისმგებლობა. ადამიანს შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება.

შაის მოსაზრებით ახალი კოგნიტური სტრუქტურა არ არსებობს. შემდეგში ხდება არსებული კოგნიტური სტრუქტურების მოქნილად გამოყენება. გამოყო პერიოდები:

1. შექმნა - ბავშვობა, მოზარდობა, სიყმაწვილე;
2. მიღწევა - ადრეული მოზარდობა;
3. სოციალური ვალდებულებები - შუა ხანი; ამ პერიოდში ადამიანი თავის კოგნიტურ სტრუქტურებს იყენებს არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ - საზოგადოებისთვისაც. ეს პერიოდი ითვლება თანამდებობის, ადმინისტრაციული ასაკის პერიოდად;
4. რეინტეგრაცია - გვიანი მოზარდობა; ხდება ყველაფრის შეფასება და გადახედვა.

„Grand Study“

ეს იყო დიდი კვლევა, რომელიც ჩატარდა აშშ-ში ჰარვარდის უნივერსიტეტში, სადაც მონაწილეობას კენედიც იღებდა. აინტერესებდათ, თუ რა პიროვნული მახასიათებლები იყო საჭირო წარმატების მისაღწევად. წინასწარ გაიზომა ცდის პირების პიროვნული ნიშნები და შემუშავდა ჰიპოთეზა, რომ წარმატებას მიაღწევდნენ კომუნიკაბელური, მხიარული და ნაკლებად კონფლიქტური ადამიანები. თუმცა ეს ჰიპოთეზა არ გამართლდა. წარმატების მისაღწევად პრიორიტეტული თვისებები აღმოჩნდა: მოწესრიგებულობა, ორგანიზებულობა, მიზანდასახულობა. „Grand study“-ს მიერ დადგენილ იქნა ის დაცვის მექანიზმები, რომელთაც მოზარდი იყენებენ იმისთვის, რომ იყვნენ წარმატებულნი. ესენია: სუბლიმაცია, განდევნა, პროექცია. განსაკუთრებითღირებული კი არის სუბლიმაცია.

ვაილენტი გამოყოფს იმ ფუნქციებს, რომლებსაც ასრულებენ ეს დაცვის მექანიზმები კარიერული ზრდისთვის:

1. ემოციური დამაბულობის დროს თოკავენ ემოციებს;
2. ბიოლოგიური ლტოლვას მიმართავენ საჭირო მხარეს (სუბლიმაცია);
3. შეაქვს კორექცია მე-ხატში;
4. ხელს უწყობენ კონფლიქტების მოგვარებას;
5. აგვარებენ პრობლემას სინდისთან.

რა განსაზღვრავს ადაპტაციას? ეს არის ტვინი და გარემო. არის მონაცემები იმასთან დაკავშირებით, რომ 3 წლის ასაკისთვის ხდება ძირითადად ტვინის ჩამოყალიბება. ვაილენტის აზრით მთელი ცხოვრება გრძელდება ტვინის ჩამოყალიბება. კარიერული ზრდისთვის უნდა ვითარდებოდეს ჩვენი ტვინი და გარემოში უნდა იყოს ორი ფაქტორი:

1. გვყავდეს ლობისტი, რომელიც გზას გაგვიკვლევს;
2. მეც ვიზრუნებ ვიღაცაზე.


ვაილენტი ეთანხმება ერიქსონის მხრიდან მოწოდებულ 8 კრიზისს, მაგრამ იგი ამატებს კიდევ 2 პერიოდს:

1. კარიერული ზრდა (ერიქსონის მე-6 და მე-7 კრიზისებს შორის);
2. ცხოვრების აზრის შენარჩუნება და მოქნილობა (ერიქსონის მე-7 და მე-8 კრიზისებს შორის).

მამაკაცის ცხოვრების პერიოდიზაცია ლევინსონის მიხედვით

ლევინსონმა დაიწყო მამაკაცების კვლევა და მან გამოჰყო 3 პერიოდი/ერა. ამის გამო, ქალი ფსიქოლოგები აღშფოთდნენ, რადგანაც მიაჩნდათ, რომ ადგილი ჰქონდა გენდერულ დისკრიმინაციას, რის შედეგადაც ლევინსონმა ქალების კვლევაც დაიწყო. ლევინსონმა გამოჰყო 3 ერა 20 წლიანი დიაპაზონებით:

1. 17 – 45 წელი - ადრეული მოზრდილობა;
2. 45 – 65 წელი - შუა ხანი;
3. 65 და ზემოთ - გვიანი მოზრდილობა.



ლევინსონის აზრით მამაკაცს გასავლელი აქვს კრიზისები და მან დაამატა 30, 40, 50, 60 წლის კრიზისები. მამაკაცი რომ გახდეს მოზრდილი, ამისთვის მან უნდა გადაწყვიტოს 4 ამოცანა:

1. დაუკავშიროს ოცნება რეალობას (რეალური პირობების გათავისება);
2. იპოვნოს დამრიგებელი (რომელიც გაუკვალავს გზას ცხოვრებაში და ასწავლის რაღაცებს);
3. გაიკეთოს კარიერა;
4. მოაგვაროს ინტიმური ურთიერთობები (იპოვნოს შესაბამისი პარტნიორი).

ლევინსონი გამოჰყოფს „განსაკუთრებული ქალის“ ფენომენს. ეს ქალი ხშირად დამრიგებლის როლსაც ასრულებს. უმეტესად 30 წლამდე მამაკაცებს სჭირდებათ ეს ქალი. 30 წლის ზემოთ მამაკაცებს კი საკუთარი თავი თავდაჯერებულად მიაჩნიათ.

ქალებზე ჩატარებული კვლევის შედეგადაც დაადგინეს, რომ მათაც იგივე 4 პრობლემა აქვთ გადასაჭრელი, რაც მამაკაცებს. აქაც გამოჰყვეს „განსაკუთრებული კაცის“ ფენომენი, რომელიც უმეტესად არის მეუღლე. ქალებისთვის პერიოდები/ერები უმჯობესია, გამოიყოს არა ასაკის მიხედვით (როგორც კაცების

შემთხვევაში), არამედ ოჯახური ციკლების მიხედვით. მაგალითად: გათხოვებამდე, პირველი შვილის ყოლამდე და ა.შ.

ფსიქო-სოციალური განვითარება ადრეულ მოზრდილობაში

მოზრდილი ადამიანის განვითარება შეიძლება აღწერილ იქნას სამი დამოუკიდებელი სისტემის კონტექსტში:

1. პიროვნული მე;
2. მე, როგორც მუშაკი;
3. მე, როგორც ოჯახის წევრი.

ერიქსონის მიხედვით, ამ პერიოდისთვის ადგილი აქვს სიახლოვე/იზოლაციის კრიზისს, რაც გულისხმობს ინტიმური ურთიერთობების მოგვარებასა და კარიერის გაკეთებას.

ჰოფმანის მოსაზრებით, ადამიანი რომ გახდეს მოზრდილი, უნდა მიაღწიოს 4 ტიპის დამოუკიდებლობას:

1. ემოციური დამოუკიდებლობა - არ უნდა იყო მშობლებზე ემოციურად მიჯაჭვული;
2. ატიტუდური დამოუკიდებლობა - უნდა გქონდეს შენი მორალური ღირებულებები სისტემა. მაგალითად, შენი მშობლები არიან ეკლესიურები, მაგრამ შენ არ ხარ ;
3. ფუნქციონალური დამოუკიდებლობა - მოიაზრება მატერიალური დამოუკიდებლობა;
4. კონფლიქტური დამოუკიდებლობა - მოზრდილ ადამიანს არ უნდა შეაწყუბოს სინდისმა, რომ წავიდა ოჯახიდან.

პარტნიორის შერჩევა

ისმის კითხვა, თუ რის საფუძველზე ხდება პარტნიორის შერჩევა? სხვადასხვა ფსიქოლოგები ამას განსხვავებულად ხსნიან.

ფროიდი - მისი მოსაზრებით ადამიანები პარტნიორად ირჩევენ საკუთარი მშობლების მსგავსს.

ვინჩი - მან ჩამოაყალიბა „კომპლიმენტალური მოთხოვნილებების თეორია“. მიაჩნია, რომ განსხვავებული ადამიანები იზიდავენ ერთმანეთს, ისე როგორც პლიუსი იზიდავს მინუსს და პირიქით. მაგალიტად დაბალ ბიჭებს მოსწონთ მაღალი გოგონები და ა.შ.

სენტერსი - მას მიაჩნია, რომ მოთხოვნილებების საფუძველზე ხდება პარტნიორების შერჩევა. თუ მოთხოვნილებები მსგავსია, მაშინ პარტნიორები ერთმანეთს პოულობენ. მაგალითად, თუ ბიჭს უყვარს

ბუნება და გოგოსაც უყვარს, მაშინ ისინი ერთმანეთს გაუგებენ, ან თუ ბიჭს უყვარს ბუნება და გოგოს - სახლში ყოფნა, მაშინ ისინი ერთმანეთს შეავსებენ.

მურშტეინი - გამოყოფს იმ სამ ასპექტს, რომლის თანახმადაც ხდება პარტნიორის შერჩევა: სტიმული, ღირებულება, როლი.

წყვილის ურთიერთობა იწყება სტიმულით (მე ვხედავ, ის მხედავს). უნდა გამოიკვეთოს მოწონება გარეგნობაში, მანერებში. სტიმულის ნიადაგზე როდესაც მოერგებიან, შემდეგი ნაბიჯია ღირებულებების ეტაპი. პირველ პაემანზე გაარკვევენ იმას, ღირს, თუ არა ურთიერთობის გაგრძელება. მაგალითად, თუ ბიჭი აღმოჩნდება, რომ ეკლესიური არ არის და გოგო აღმოჩნდება ეკლესიური, მაშინ ურთიერთობის გაგრძელების ნაკლები შანსია. როლების საფეხურზე ხდება როლების გადანაწილება, ანუ ბიჭს/გოგოს რა ევალება და რა უნდა გააკეთონ ერთმანეთისთვის.

მითები და რეალობა

არსებობს შინაბერებისა და ბერბიჭების შესახებ მითი. გავრცელებული აზრით, ეს ადამიანები ხასიათდებიან უარყოფით პიროვნებებად. თუმცა არის საპირისპირო მოსაზრებაც, რომ არიან მხიარულები, სიცოცხლისუნარიანები, დიდი ხანი არიან ახალგაზრდები და ა.შ. ასეთ ადამიანებზე ჩატარდა კვლევა, სადაც ეკითხებოდნენ, თუ რატომ არ შექმნეს ოჯახი. დიდმა ნაწილმა უპასუხა, რომ ეს მათი პირადი არჩევანი იყო, რადგან არ სურდათ, ვინმეზე ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი.

შინაბერობა სოციალური ფენომენი არ არის, ეს უფრო ფსიქოლოგიური ფენომენია. შეიძლება, ეს არის გენეტიკური და არა გარემოდან მოსული.

ოჯახური ციკლი

არსებობს ოჯახური ციკლის რამოდენიმე საფეხური:

1. მშობლების ოჯახიდან წასვლა;
2. საკუთარი ოჯახის შექმნა;
3. პირველი ბავშვის დაბადება;
4. პირველი ბავშვის სკოლაში წასვლა;
5. უკანასკნელი ბავშვის დაბადება;
6. უკანასკნელი ბავშვის ოჯახიდან წასვლა;
7. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება.



ადამიანი როგორც მუშაკი

არსებობს ადამიანის შინაგანი და გარეგანი მოტივები. შინაგან მოტივებში მოიაზრება: მომწონს სამსახური, მაქვს ნიჭი, მაქვს უნარი დავეუფლო ამ პროფესიას, კარგად გამომდის. გარეგან მოტივებში შედის: ხელფასი, კარიერული ზრდა, პრესტიჟულობა.

შინაგან მოტივებზე დაფუძნებული სამსახური სჯობს გარეგან მოტივებზე დაფუძნებულს, თუმცა საუკეთესო ვარიანტია ორივე ფაქტორზე დამყარებული სამსახური.

როლური კონფლიქტი - როდესაც ასრულებენ ადამიანები სხვადასხვა როლებს, შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტი, რადგანაც პიროვნება არის სხვადასხვა როლებში: მშობლის, მუშაკის, მეუღლის და ა.შ. თუ ეს კონფლიქტი მუდამ გაგრძელდება, მაშინ ეს გამოიწვევს **როლურ დამაბულობას**.

პროფესიის არჩევის განმსაზღვრელი ფაქტორები

1. სქესი;
2. რასა;
3. მე-კონცეფცია;
4. პიროვნული თავისებურებები;
5. პრაქტიკული მოსაზრებები (რა არის გამოსაყენებელი);
6. მშობელთა შეხედულებები.

შუა ხანი

შუა ხანის პერიოდი მოიცავს 40 – 60/65 წლამდე პერიოდს. შუა ხანი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ხიდი ახალგაზრდობასა და ხანდაზმულობას შორის. შუა ხანი მიჩნეულია, როგორც აყვავების ხანა, რადგან ამ ხნის ადამიანს აღარ სჭირდება დამრიგებელი, მოგვარებული აქვს კარიერა და ინტიმური ურთიერთობები.

ლევინსონის აზრით ადგილი აქვს საშუალო და ძლიერ კრიზისს. ამ პერიოდში ხდება საკუთარ ცხოვრებაზე თვალის გადავლება და იმის გაანალიზება, თუ რა გაგიკეთებია აქამდე. 40 წლის ქალები უფრო მეტად განიცდიან საკუთარ გარეგნობაში არსებულ ცვლილებებს, ვიდრე 50 წლის ქალები.



შუა ხანში გამოიყოფა 2 მოდელი:

1. გადასვლის მოდელი - მაგალითად თუ თვლის ადამიანი, რომ ნორმაა ჭაღარა ამ ასაკში, მაშინ კრიზისს ადგილი არ ექნება;
2. კრიზისის მოდელი - რიდესაც ვერ ეგუები ფიზიკურ გარეგნობაში და კოგნიტურ შესაძლებლობებში არსებულ ცვლილებებს. მაგალითად 45 წლის ქალი, რომელიც ვერ ეგუება ჭაღარას, ან იმას, რომ ვეღარ დარბის სწრაფად და ა.შ.

ფიზიკური განვითარება შუა ხანში

შუა ხანში სენსორიკა იკლებს. უარესდება მხედველობა და უმეტესობა შორსმხედველია, თუმცა ვინც ახალგაზრდობაში ახლომხედველი იყო, შუა ხანში ეს პრობლემა გამოუსწორდება და შეიძლება სათვალე არც დასჭირდეს. მაღალი ბგერების მიმართ მგრძობელობა ქვეითდება, მაგრამ ეს შუა ხნის ადამიანს ადაპტაციაში ხელს არ უშლის. ტემპერატურისა და გემოს შეგრძნების მხრივ არანაირი ცვლილება არ აღენიშნებათ. რეაქციის დრო იკლებს, თუმცა არც ეს უქმნის დისკომფორტს, რადგანაც კონპენსაციის მეთოდებით დაძლევადა. მოტორული ჩვევები მაღალ დონეზეა. თუ ავიღებთ პიანისტს ან ჩოგბურთელს, მათი ტექნიკა კი არ დაიკლებს, შეიძლება კიდევ უფრო დაიხვეწოს. თუმცა ახალი ჩვევის ათვისება უკვე პრობლემურია.

მორფოლოგიური და ფუნქციონალური ცვლილებები

მორფოლოგიურ ცვლილებებს განეკუთვნება - ჩნდება: ჭაღარა, ნაოჭები, ღიპი, ცელულიტი; იმატებს წონა;

ფუნქციონალურ ცვლილებებს განეკუთვნება - კლიმაქსი, მენოპაუზა.

მენოპაუზა დაახლოვებით დგება 45-50 წლის ასაკში. ამ დროს იკლებს ქალის ჰორმონები, რაც იწვევს ოსტეოპოროზს (ძვლის მასის შემცირება). ამის აღმოფხვრა შესაძლებელია კალციის მიღებით. და კიდევ, თუ ადამიანი მისდევდა ჯანმრთელი ცხოვრების წესს, მაშინ სიბერე უფრო გვიან დაუდგება. სიბერის დადგომა ყველა ადამიანისათვის ინდივიდუალურია.

რეპროდუქციის უნარი კაცს სიცოცხლის ბოლომდე აქვთ, ქალებს კი 45-50 წლამდე (იგულისხმება ჯანმრთელი ქალი და კაცი). კლიმაქსი იწვევს გაღიზიანებას, წონაში მომატებას, ციებ-ცხელებას. ადამიანების მცირე რაოდენობას ამ ყველაფერს მიმართ აქვს მძაფრი რეაქცია.

ჯანმრთელობა და ავადმყოფობები

შუა ხანი ის პერიოდია, როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ ჯანმრთელია. ამ პერიოდში თავი შეიძლება იჩინოს შემდეგმა დაავადებებმა:

1. გულ-სისხლ-ძარღვთა;
2. სიმსივნური;
3. დიაბეტი;
4. სასუნთქი გზების დაავადებები;
5. შიდა.

კოგნიტური განვითარება შუა ხანში

შუა ხანში კოგნიტური განვითარების მხრივ ადგილი აქვს პლატოს. ზოგიერთი ადამიანი კი 70-75 წლამდე აგრძელებს ინტელექტის გაუმჯობესებას, თუმცა ამის წინაპირობაა, რომ ამ ასაკამდეც უნდა იყოს ჩართული ინტელექტუალურ საქმიანობაში. გამოიყოფა ინტელექტის ორი ფორმა:

1. ფლუიდური - ეს არის უნარი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია ახლის სწავლა ანუ ახალი ინფორმაციის მიღება. აქ შედის: დახსომების სისწრაფე, ინდუქციური მსჯელობა, ახალი მიმართებებისა და კავშირების დამყარება;
2. კრისტალიზირებული - ამ სახის ინტელექტი ეყრდნობა ცოდნასა და გამოცდილებას. მოიცავს: მიმართებების დამყარებას, პრობლემების ანალიზს/დაყენებას, დედუქციურ მსჯელობას.

ჭაბუკობის პერიოდისთვის დამახასიათებელია ფლუიდური ინტელექტი. შუა ხანში კი ადგილი აქვს კრისტალიზირებულ ინტელექტს.

ჩატარდა ექსპერიმენტი მოჭადრაკეებზე. ახალგაზრდა და გამოცდილ (შუა ხნის) მოჭადრაკეებს უნდა დაემახსოვრებინათ დაფაზე პაიკების განლაგება (ანახებდნენ რაღაც პერიოდის მანძილზე). ინფორმაციას უკეთ აღადგენდნენ ახალგაზრდები. შემდეგ უკვე ანახებდნენ კონკრეტულ სიტუაციას დაფაზე და სთხოვდნენ საუკეთესო სვლის გათამაშებას. ამას უკვე უკეთ ახერხებდნენ შუა ხნის მოჭადრაკეები, ვიდრე ახალგაზრდები. ეს აიხსნება ასევე იმიტომაც, რომ შუა ხნის ხალხს მოტივაციაც კი არ აქვს იმის, რომ მსგავსი რამეები დაიმახსოვრონ.

ფსიქო-სოციალური განვითარება შუა ხანში**ჰეივიგჰერსტის განვითარების მოდელი**

ჰეივიგჰერსტი მოზრდილობას განიხილავს, როგორც პერიოდს, როდესაც ადამიანმა უნდა გადაწყვიტოს გარკვეული ამოცანები. იგი [ადრეული მოზრდილობის](#) ამოცანებად გამოჰყოფს:

1. მეუღლის შერჩევას;
2. ოჯახური ცხოვრებისადმი მომზადებას;
3. ოჯახის შექმნას;
4. ბავშვების აღზრდას;
5. ოჯახური მეურნეობის წამოწყებას;
6. პროფესიული საქმიანობის დაწყებას;
7. მოქალაქეობრივ პასუხსმგებლობას;
8. კონგენიალური სოციალური ჯგუფის შექმნას (საერთო ღირებულებების მქონე ჯგუფი).

„con“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ერთად“, ხოლო „genius“ ლათინურიდან ნიშნავს „სულს“, „გონს“.

შუა ხნის ამოცანებად გამოჰყოფს:

1. მოწიფული სამოქალაქო და სოციალური პასუხსმგებლობის მიღწევა;
2. მიზანშეწონილი ცხოვრებისეული დონის მიღწევა და შენარჩუნება (ამ პერიოდში უნდა გქონდეს უკვე მიღწეული რაიმეს და უნდა იზრუნო მის შენარჩუნებაზე);
3. დასვენების მისაღები საშუალებების არჩევა (დისკოტეკებზე და ბარებში გათენება მიუღებელია);
4. დახმარება ბავშვების აღზრდაში, მათ მორალურ და ზნეობრივ განვითარებაზე ზრუნვა;
5. ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში პიროვნული ასპექტის გაძლიერება (თუ ადრეულ მოზრდილობაში პრიორიტეტულია სექსი, შუა ხანში უკვე წინა პლანზე პიროვნული ასპექტი დგას);
6. შუა ხნის ასაკისათვის დამახასიათებელი ფიზიოლოგიური ცვლილებების მიღება და მათზე მორგება (ეს არის გადასვლის მოდელი. კრიზისის მოდელი უფრო ემართებათ მდიდარ ადამიანებს);
7. მოხუც მშობლებთან ურთიერთობა.



გვიანი მოზრდილობის ამოცანებად ასახელებს:

1. ჯანმრთელობის გაუარესებისა და ფიზიკური ძალების კლებისადმი ადაპტაცია/შეჩვევა;
2. პენსიაზე გასვლასთან შეგუება;
3. მეუღლის გარდაცვალებასთან შეგუება;
4. მოქალაქეობრივი და სოციალური ვალდებულებების შესრულება;
5. ნორმალური ცხოვრებისეული პირობების უზრუნველყოფა;
6. კოჰორტასთან მჭიდრო კავშირის დამყარება.

პეკის შეხედულება

პეკი არა საკმარისად მიიჩნია ერიქსონის მიერ მოზრდილობაში გამოყოფილი 3 კრიზისი. მან გამოჰყო 7 კრიზისი, საიდანაც 4 შუა ხნისთვის არის მნიშვნელოვანი და 3 გვიანი მოზრდილობისთვის. ბოლო 3-მა კრიზისმა შეიძლება თავი იჩინოს შუა ხანშიც. ეს კრიზისებია:

1. სიბრძნის ღირებულების აღიარება წინააღმდეგ ფიზიკური ძალის ღირებულებასთან (პრობლემის ცოდნით გადაწყვეტა და არა მუშტებით);
2. სოციალური სექსუალურის წინააღმდეგ (პირველ პლანზე სოციალური ურთიერთობებია);
3. ემოციური მობილობა წინააღმდეგ ემოციური გადარიბებისა (გარემოსთან ემოციურად უნდა იყოს დაკავშირებული);
4. გონებრივი მობილობა წინააღმდეგ გონებრივი რიგიდულობისა (უნდა შეინარჩუნოს გონების სისხარტე);
5. ეგოს დიფერენციაცია წინააღმდეგ როლური შთანთქმისა (მხოლოდ ერთი როლით არ უნდა იყო დაკავებული. უნდა შეგეძლოს სხვადასხვა როლებით დაკავება: მუშაკი, მეზობელი, მშობელი...);
6. სხეულის ტრანსცენდენცია წინააღმდეგ სხეულზე დაინტერესებისა (არ უნდა ჩაიციკლო შენში მიმდინარე სხეულებრივ ცვლილებებზე:ჭაღარა, ნაოჭი);
7. ეგოს ტრანსცენდენცია წინააღმდეგ ეგოზე დაინტერესებისა (ეგოდან გასვლას პეკი უწოდებს „ღამეს“. არ უნდა გაწუხებდეს შენი გარდაცვალების იდეები და ეს არ უნდა გახდეს უმოქმედობის მიზეზი).

„Transcendence“ ლათინური სიტყვაა და ქართულად ნიშნავს „საზღვრიდან გასვლას“.

ერიქსონის შეხედულება

ერიქსონი შუა ხნის პერიოდში გამოჰყოფს გენერატიულობა/სტაგნაციის კრიზისს.

გენერატიულობა კი ვლინდება სამი მიმართულებით:

1. პროკრეატიული სფერო (შემდგომი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მაგ: ლექტორი);
2. პროდუქტიული სფერო (სამუშაო, ოჯახი, ახალი თაობის შექმნა);
3. კრეატიული სფერო (კულტურული პოტენციალის წარმოჩენა ან გაზრდა).

ფარელი და როზენბერგი

ფარელისა და როზენბერგის მიხედვით არსებობს **მამაკაცის** განვითარების 4 გზა:

1. ტრანსცენდენტული გენერატიული გზა - კრიზისს ადგილი არ აქვს. არის აქტიური, მოქმედებს, უყვარს მეგობრები, სამსახური;
2. ფსევდო-განვითარებული მამაკაცის გზა - თამაშობს როლს, თითქოს ყველაფერი კარგად აქვს, თუმცა სინამდვილეში შეიძლება ასე არც იყოს;
3. კრიზისული გზა - არის ცუდად. პრობლემები აქვს ოჯახში, სამსახურში. არ გამოსდის რაღაც და აერია მთელი ცხოვრება. თუმცა მას შეუძლია დაძლიოს კრიზისი და გახდეს გენერატიული;
4. ხელმოცარული მამაკაცის გზა - ვერ გადაჭრა ვერც ერთი კრიზისი და ვერ მიაღწია ვერაფერს. გამოსავალი არ არის!

შუა ხნის ქალების ცხოვრების გზას უკავშირებენ ოჯახურ ციკლს:

1. ბავშვის დაბადება და მოვლა;
2. ბავშვის მიერ ოჯახის დატოვება;
3. შემდგომი პერიოდი.

სამსახურის დაკარგვა

შუა ხნის ასაკში იმის ალბათობა დიდია, რომ დაკარგო სამსახური, სანამ პენსიაზე გახვალ. სამსახურის დაკარგვაზე ვლინდება 4 სახის რეაქცია:

1. არ სჯერა;
2. ბრაზი, პროტესტი;
3. ვაჭრობა;
4. დეპრესია.

„გადაწვა სამსახურში“

ამ ცნების გამოყენება პირველად დაიწყო იმ სპეციალობებთან მიმართებით, რომლებიც ხალხს ემსახურება: ექიმი, მეხანძრე, პოლიციელი, პედაგოგი. „გადაწვისთვის“ დამახასიათებელია ცინიკური დამოკიდებულება. დღეს უკვე ეს ტერმინი გამოიყენება სხვა სპეციალობების მიმართაც. თუ დაისახავ ისეთ მიზნებს, ვიდრე რეალურად შეგიძლია მათი მიღწევა, მაშინ ადგილი ექნება „გადაწვას“. „გადაწვა“ შეიძლება განიცადოს ადამიანმა, თუ მას აქვს დაბალი ანაზრაურება, დაბალი თანამდებობა ან თუ სამსახურზე დიდ იმედებს ამყარებდა.

გვიანი მოზრდილობაეიჯიზმი და სტერეოტიპები

გვიანი მოზრდილობის პერიოდი გრძელდება 60/65 წლიდან და ზემოთ. ამ ასაკის ადამიანების მიმართ არსებობს ამბივალენტური დამოკიდებულება. ჩატარდა კვლევა, სადაც სტუდენტებს ეკითხებოდნენ, თუ როგორები იყვნენ მოხუცები. გამოკითხულთა აზრი გაიყო ორად. ნაწილი მოხუცებს ახასიათებდა პოზიტიურ პიროვნებებად, ნაწილი კი - უარყოფითად.

ეიჯიზმი ნიშნავს ასაკისადმი სტერეოტიპულ დამოკიდებულებას. ამ ადამიანების მიმართ მსგავსი სტერეოტიპული წარმოდგენების საფუძველზე არ უნდა ვისაუბროთ, რადგან თითოეული მათგანი ინდივიდუალურია. ზოგი შეიძლება ბუზღუნააა, ზოგი კი არ არის ფიზიკურად სუსტი.



გამოყოფენ გვიანი მოზრდილობის 4 ქვე-პერიოდს:

1. წინა მოხუცებულობამდე პერიოდი (60-69 წელი) - ფიზიკურად და ემოციურად ნორმალურადაა, კოგნიტური განვითარება ჯერ კიდევ პლატოზეა;
2. მოხუცებულობა (70-79 წელი) - სხვადასხვა ფსიქიკურ პროცესებთან და ფიზიკურ ძალასთან დაკავშირებით ცვლილებები შესამჩნევია. თუმცა ესეც ინდივიდუალურია და დამოკიდებულია პიროვნებაზე;
3. გვიანი მოხუცებულობა (80-89 წელი) - თავს იჩენს უკვე დაბერების ნიშნები, როგორც ფსიქიკაში ასევე ფიზიკურ აღნაგობაში;
4. უძლურება (90 და ზემოთ) - აქ უკვე ყველანაირ დაუძლურებას აქვს ადგილი.

დაბერების ფიზიკური ასპექტები

პათოლოგიური დაბერების ფაქტორები - ორგანიზმის დაბერება ხდება არა ფიზიოლოგიური პროცესების შედეგად, არამედ პათოლოგიური ფაქტორების ზეგავლენით: სოლარიუმი, რადიაცია, ულტრა იისფერი გამოსხივება, ტრავმა, სტრესი. მაგალითად ნაოჭი განა ჩნდება იმიტომ, რომ ხარ 70 წლის, არამედ 24 წლის რომ იყავი და არ მისდევდი ჯანმრთელი ცხოვრების წესს.

გარეგნობა - ჩნდება ნაოჭები, ჭაღარა, კანი კარგავს ელასტიურობას, სხეულზე ჩნდება მუქი ფერის ლაქები, სიმაღლეში ხდება 3-5 სმ-ით კლება, კუნთური მასა მცირდება, ორგანიზმი კარგად ვეღარ ინელებს ცხიმებს და ხდება ამ ცხიმების სისხლძარღვების კედლებზე დაგროვება და გაქვავება, რაც იწვევს სისხლძარღვების გამტარუნარიანობის შემცირებას. ეს შეიძლება გახდეს თრომბების მიზეზი. ამ დაავადებას „ათეროსკლეროზი“ ეწოდება.

გრძნობის ორგანოები - მხედველობა და სმენა ქვეითდება. გემოს შეგრძნება ცოტათი იცვლება. ტკბილის მიმართ მგრძნობელობა უცვლელია. ჰიპერტონიკები რომლებიც სვამენ წამლებს, შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც მლაშის შეგრძნების ზღურბლს მაღლა სწევს. ყნოსვის შეგრძნება ქვეითდება.

ქრონიკული დავადებებია - გულ-სისხლ-ძარღვთა, ინსულტები, სიმსივნური.

დაბერების თეორიები

დაბერების თეორიების ორი ჯგუფი არსებობს: სტოქასტიკური თეორიები და გენეტიკური პროგრამირების თეორიები.

სტოქასტიკური თეორიების მიხედვით ორგანიზმი ბერდება შემთხვევითი დაზიანებების შედეგად. დაზიანება შეიძლება გამოწვეულ იქნას ორგანიზმში მომხდარი პროცესების შედეგად და ასევე გარემოს ზემოქმედების შედეგად.

სტოქასტიკური თეორიები კიდევ სხვადასხვანაირად ხსნიან დაბერების პროცესს:

1. დაბერებული უჯრედები ცუდად იცილებენ მეტაბოლიზმის პროდუქტებს. გამოიყოფა ლიპოფუსცინი (ბერძნ. *lypos* ცხიმი, ლათ. *fuscus* (შავ-ყვითელი) – მოყვითალო, წაბლისფერი პიგმენტი, უმთავრესად აღინიშნება მოხუცებში და ხანგრძლივი, განმლევი ავადმყოფობის შედეგად თითქმის ყველა ორგანოში), რომელიც გროვდება კუნთებში და არღვევს უჯრედის სტრუქტურას;
2. უჯრედების მიერ ჟანგბადის გამოყენების დროს წარმოიქმნება თავისუფალი რადიკალები, რომლებიც არღვევენ უჯრედის ნორმალურ ფუნქციონირებას;
3. ხდება უჯრედის დაზიანება ულტრა იისფერი სხივებით.

კრიტიკა: თუმცა ეს თეორია ვერ ხსნის, რატომ ვერ იცილებენ მეტაბოლიზმის პროდუქტებს!!!

გენეტიკური პროგრამირების თეორიები:

1. დაბერებას განსაზღვრავს სპეციალურად დაპროგრამებული გენების მოქმედება;
2. „დაქოქილი საათის“ თეორია - არსებობს ე.წ. „ტიმერი“, რომელიც მოთავსებულია ჰიპოფიზში. პუბერტადის დადგომის შემდეგ ჰიპოფიზი გამოყოფს ჰორმონს, რომელიც იწვევს სიბერის პროცესის დაწყებას და რომელიც მიმდინარეობს დაპროგრამებული სიჩქარით.

შემეცნებითი პროცესების მიმდინარეობის სისწრაფე

შემეცნებითი პროცესების მიმდინარეობის სისწრაფე მცირდება. რეაქციის დრო ეცემა. ჩაატარეს შემდეგი სახის ექსპერიმენტი მბეჭდავებზე. ექსპერიმენტი ტარდებოდა ადრეულ მოზრდილებზე და გვიან მოზრდილებზე. ექსპერიმენტით უნდა განესაზღვრათ, თუ რამდენად სწრაფად ბეჭდავდნენ ამ თაობის წარმომადგენლები. აღმოჩნდა, რომ განსხვავება არც ისე დიდი იყო. გვიანი მოზრდილობის ადამიანები ტექსტის დიდ ნაწილს ერთბაშად კითხულობდნენ და სწორედ ამიტომ არ ჩამოუვარდებოდნენ ადრეული მოზრდილობის წარმომადგენლებს. თუმცა შემდეგ დასაბეჭდად მისცეს მხოლოდ ერთი წინადადება. აქ უკვე ადრეული მოზრდილების ტემპი დიდი იყო გვიანი მოზრდილების ტემპზე.



მეხსიერება

კოგნიტური პროცესებიდან მეხსიერება ყველაზე უკეთ არის შესწავლილი. მეხსიერების რამდენიმე ფორმა არსებობს:

1. სენსორული მეხსიერება - ჩვენი შეგრძნების ორგანოებზე გარემოდან მოსული გამღიზიანებლების ასახვა;
2. პირველი რიგის მეხსიერება ანუ ხანმოკლე მეხსიერება;
3. მეორე რიგის მეხსიერება ანუ ხანგრძლივი მეხსიერება;
4. მესამე რიგის მეხსიერება, რომელიც მოიაზრებს შორეულ წარსულში მომხდარი მოვლენების გახსენებას.

- A. გვიანი მოზრდილები სენსორული მეხსიერების თვალსაზრისით ჩამორჩებიან ადრეული მოზრდილების წარმომადგენლებს. ეს მოსაზრება ეყრდნობა ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებულ ექსპერიმენტებს, სადაც გარკვეული წამების მანძილზე ანახებენ რაიმე ინფორმაციას, რომელიც უნდა აღადგინონ. თუმცა რეალურ ცხოვრებაში სენსორული მეხსიერების ცვლილება ამ ორი თაობის წარმომადგენლებს შორის არ შეინიშნება, რადგანაც რეალურ ცხოვრებაში გამდიზიანებლის აღსაქმელად და გასააზრებლად საკმარისი დრო გვაქვს მოცემული და არა მხოლოდ წამები. სენსორული მეხსიერება ხელის შემშლელი აღმოჩნდება გვიანი მოზრდილობის წარმომადგენელი მძღოლებისათვის, რადგან დიდია ალბათობა, რომ დროულად ვერ აღიქვას უცხო გზაზე საგზაო ნიშნები.
- B. პირველი რიგის მეხსიერებაში არანაირი ცვლილება არ გვაქვს.
- C. მეორე რიგის მეხსიერებაში ცვლილებები არის. ხშირია პრობლემები ახალი შინაარსის დამახსოვრების დროს. ლაბორატორიაში ტარდებოდა ექსპერიმენტები ადრეულ მოზრდილებზე და გვიან მოზრდილებზე. აწვდიდნენ უაზრო მარცვლებს, რომლებიც უნდა აღედგინათ. ახალგაზრდები გაცილებით უკეთ ახერხებდნენ აღდგენას, ვიდრე გვიანი მოზრდილები. ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ გვიანი მოზრდილობის წარმომადგენლებს არც მოტივაცია აქვთ და არც ხალისი, რომ მსგავსი რამეები დაიმახსოვრონ. ასევე აღმოჩნდა, რომ მეტაფორებს უკეთ იმახსოვრებენ გვიანი მოზრდილები, ვიდრე ადრეული მოზრდილები.
- D. მესამე რიგის მეხსიერებაში ცვლილებებს ადგილი არ აქვს.

დასკვნა: ცვლილებები შეინიშნება მხოლოდ ხანგრძლივ მეხსიერებასთან დაკავშირებით!

სიბრძნე

სიბრძნე ეს არის ცხოვრების მანძილზე დაგროვილი ცოდნა, რომელიც მიმართულია ცხოვრების პრაქტიკულ მხარეზე. სიბრძნეს ადგილი აქვს უკვე გვიან მოზრდილობაში. ბალტერი სხვადასხვა ასაკის ადამიანებს აძლევდა დილემებს და სთხოვდა მათ, რომ ემსჯელათ ამის შესახებ. მაგალითი: 13 წლის გოგოს უნდა გათხოვება. ბრძენი ამ საკითხის შესახებ დასვამდა დამატებით კითხვებს: რატომ უნდა გათხოვება? რომელი კულტურის წარმომადგენელია?

დემენცია

დემენცია ეს არის შეძენილი გონება-სუსტობა. დემენცია დამახასიათებელია მოხუცობისათვის. არსებობს სემილური დემენცია, რომლისთვისაც დამახასიათებელია: კოგნიტური პროცესები მოშლას, ამნეზია, მეხსიერების დაქვეითება, პიროვნების დეგრადაცია (ვერ აზროვნებს, არ შეუძლია ჩაცმა-დახურვა, ვერ ცნობს საკუთარ შვილს, სრულიად უსუსურია, დევს ერთ ადგილზე). სემილური დემენციის გამოწვევი ორი მიზეზია: პირდაპირი და ირიბი.



პირდაპირი მიზეზებია: ალცგეიმერის დაავადება, მულტი-ინფაქტური დემენცია.

ალცგეიმერის დაავადების პირველი ნიშნებია: რალცეების დავიწყება, ასევე ვარაუდობენ, რომ ეს შეიძლება იყოს ერთი გენის დეფექტი. ზუსტი დიაგნოზის დასმა გარდაცვალებამდე შეუძლებელია. საჭიროა გაკვეთა. თავის ტვინის ზოგიერთი უბანი კვდება და ჩნდება შავი წერტილები.

მულტი-ინფაქტური დემენცია - ხდება სისხლძარღვების შესუსტება, რაც იწვევს ტვინის დაზიანებას.

ირიბი მიზეზები:

1. ფსიქოლოგიური მოლოდინი - როდესაც წინასწარ ელოდება ადამიანი, რომ გადავა გვიან მოზრდილობაში და ეს დაავადება დაემართება, რის შედეგადაც იჭრება როლებში;
2. ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა - ეს ის ასაკია, როდესაც ახლობელი ადამიანის სიკვდილი გარდაუვალია. შედეგად ყალიბდება დეპრესია, რაც უნდა დაიძლიოს ძველი მდგომარეობის აღსადგენად;
3. ფიზიკური ფორმა - ფიზიკურად კარგ ფორმაში ყოფნა არის წინაპირობა დემენციის აცილებისა;
4. კვება;
5. ალკოჰოლი- ჭარბი ოდენობით მიღება დემენციის წინაპირობაა;
6. მედიკამენტები - ჰიპერტონიკული პრეპარატები იწვევს დემენციას;
7. ინტელექტუალური უმოქმედობა.

ფსიქო-სოციალური განვითარება გვიან მოზრდილობაში**სტატუსის შეცვლა**

სოციალური სტატუსის შეცვლა ნიშნავს ადამიანის პიროვნების როლის ან მდგომარეობის შეცვლას (იყო მუშაკი, გავიდა პენსიაზე; იყო მამა, გახდა პაპა). ხშირად უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ რა შინაარსს მიანიჭებს ადამიანი ამ სტატუსს და არა თვით ეს მოვლენა. მაგალითად, მე როგორ აღვიქვავ პენსიაზე გასვლას, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თვით პენსიაზე გასვლის პროცესი. თუ ადამიანი დისკომფორტს განიცდიდა სამსახურში და შემდეგ გავა პენსიაზე, მაშინ ეს გამოიწვევს სიხარულის განცდას.

სიცოცხლით კმაყოფილება და მე-კონცეფცია

გვიან მოზრდილობაში სიცოცხლით კმაყოფილება დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე:

1. ჯანმრთელობა;
2. ფული;
3. სოციალური და ოჯახური მდგომარეობა (მიღებული ვარ, თუ არა - საზოგადოებაში; მყავს, თუ არა - ოჯახი; მიდგანან, თუ არა - გვერდში ოჯახის წევრები);
4. ურთიერთობები (სოც. გარემოსთან კავშირი);
5. ცხოვრების პირობები.

მე-კონცეფციაზე გავლენას ახდენს:

1. ცვლილებები ჯანმრთელობაში;
2. ფინანსური მდგომარეობა;
3. სოციალური მდგომარეობა;
4. სექსუალური სფერო;
5. ოჯახური მდგომარეობა;
6. ცხოვრების პირობები.

დაცვის მექანიზმები

გუტმანის მოსაზრებით, დაცვის მექანიზმები ასაკთან ერთად განიცდიან რეგრესიას. ხდება აქტიური კონტროლიდან პასიურ კონტროლზე გადართვა. სტრესულ სიტუაციებში ამ ასაკის ადამიანები მიმართავენ იუმორს ან არიან ნეიტრალურები.

ვაილენტის მოსაზრებით კი გვიან მოზრდილობაში დაცვის მექანიზმები იღებენ მომწიფებულ ფორმებს.

პიროვნების აქტიურობას დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქო-სოციალურ განვითარებაში. ჩაატარეს ექსპერიმენტი ვირთხებზე: ჩაყარეს წყალში. ზოგიერთი ჩაიძირა, ზოგიერთი კი 60 საათის მანძილზე ფართხალებდა სიცოცხლის გადასარჩენად. როდესაც არ იბრძვის ადამიანი საკუთარი კეთილდღეობისთვის, უფრო ადრე გამოეცლება სასიცოცხლო ძალები, ვიდრე ის, ვინც მუდმივად აქტიურობს. გვიან მოზრდილობაში მნიშვნელობა აქვს ასევე იმას, თუ ვისთან ხდება ამ თაობის წარმომადგენლის შედარება. თავიანთ თავს ადარებენ თავის ტოლებს და არა - ახალგაზრდებს.

ერიქსონის მიხედვით ამ ასაკში მყოფმა ადამიანმა უნდა გადალახოს კრიზისი ეგოს მთლიანობა წინააღდეგ გულგატეხილობისა.

ვიტორნის მოსაზრებით, გვიან მოზრდილობაში მნიშვნელოვანია ასიმილაციასა და აკომოდაციას შორის წონასწორობის შენარჩუნება. ხშირი აკომოდაცია სასურველი არ არის. ეს იწვევს ნევროზს, დეპრესიას, აშლილობას.

პენსიაზე გასვლა

რატომ გადიან პენსიაზე?

1. ფიზიკური ჯანმრთელობა - შეიძლება ადამიანს სულაც არ აქვს საპენსიო ასაკი, თუმცა ჯანმრთელობის გამო შეიძლება მოუწიოს. ეს პროცესი იქნება მტკივნეული, რადგან ადამიანი არ არის მომწიფებული ფსიქოლოგიურად და ადგილი ექნება კრიზისის მოდელს. ასევე ეს გამოიწვევს მატერიალურ სიდუხჭირეს;
2. ეკონომიკური მდგომარეობა;
3. სამსახურისადმი დამოკიდებულება;
4. სოციალური გარემოს გავლენა - თუ სოციალურმა გარემომ მხარი დაგიჭირა, მაშინ პენსიაზე გასვლა არ იქნება მტკივნეული. მნიშვნელობა აქვს თუ როგორ მოხდება პიროვნების პენსიაზე გაშვება - ღირსეულად, თუ როგორც „ჩამორეცხილი“.



პენსიაზე გასასვლელად მომზადება გულისხმობს:

1. საქმეების თანდათანობით შემცირებას;
2. დაგეგმვას;
3. ცხოვრებას პენსიის მოლოდინში.

სიკვდილითვითმკვლელობა

თვითმკვლელობის გამომწვევი მიზეზებია: ეკონომიკური მდგომარეობა, ჯანმრთელობის პრობლემები, სტრესი და ა.შ. თვითმკვლელობების რიცხვი საკმაოდ დიდია გვიანი მოზრდილობის ადამიანებში. თუმცა ამ ფაქტს საზოგადოება გულგრილად უყურებს.

სიკვდილი

ადამიანის მიერ საკუთარ სიკვდილთან (როდესაც გაიგებს) შეგუების 5 სტადია არსებობს:

1. უარყოფა - არ სჯერა;
2. ბრაზი;
3. ვაჭრობა;
4. დეპრესია;
5. შეგუება.

ევთანაზია

სიტყვა „Euthanasia“ არის ბერძნული და ნიშნავს („eut“ - ტკბილი, უმფოთველი, „thanatos“ - სიკვდილი) უმფოთველ, კარგ სიკვდილს. საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია. არსებობს ევთანაზიის ორი ფორმა:

1. აქტიური - როდესაც შეყავთ ორგანიზმში დიდი დოზით ნარკოტიკული საშუალება;
2. პასიური - როდესაც წყვეტენ მკურნალობის პროცესს (აპარატიდან გამორთვა მაგალითად).

ფროიდი გარდაიცვალა ევთანაზიით.

ჰოსპისი

ჰოსპისი – (ინგ. hospice - პრიუტი) დაწესებულება, რომელიც განკუთვნილია განუკურნებელი ონკოლოგიური ავადმყოფებისათვის პალიატიური სამედიცინო დახმარებისა და მედიკო-სოციალური დახმარების გასაწევად. ადამიანს სჭირდება დახმარება დაბადებისას და ასევე სჭირდება მას დახმარება, რომ წავიდეს იმ ქვეყნად.

გლოვა

როგორ მიმდინარეობს გლოვა:

1. შოკი, უარყოფა, ბრაზი, ბრალდება;
2. ტირილი, დეპრესია. თუ ტირის ჭირის უფალი, ეს ნიშნავს, რომ შოკიდან გამოვიდა;
3. „გაშვება“ - როდესაც გაუშვებ იმ ქვეყნად. ეს არ ნიშნავს, რომ ეგუები მის გარდაცვალებას, არამედ - ათავისუფლებ.



გამოყენებული ლიტერატურა:

1. წინამდებარე მასალა წარმოადგენს მანანა მელიქიშვილის ლექციებზე „განვითარების ფსიქოლოგია“ გაკეთებულ ჩანაწერებს, რომლებიც შესრულებულია დავით თევდორაშვილის მიერ;
2. ზოგიერთი ტერმინის სრული სახელწოდება აღებულია საიტიდან <http://www.wikipedia.org/>.